ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

„მირზა სუბელიანის შეხვედრების ფარული ჩანაწერების გავრცელება მოქალაქე ი.პ.-ს მოსთხოვეს“



გვ.7

პროკურატურის განცხადება სკანდალურ ჩანაწერზე

სამშაბათი, 16 ოქტომბერი, 2018 №245 (7790) ფასი: 60 თეთრი

# ზვიად კუპრავა: „მირზა სუბელიანს წამების კადრები შეიძლება ჰქონდეს ჩაწერილი“



გვ.3

„ის ქმნიდა მტკიცებულებას იმისთვის, რომ თუ ზემდგომები გაწირავდნენ, მათზე კომპრომატები ჰქონოდა“

„ბიძინამ იმდენი თხარა, სანამ მირზა სუბელიანი არ გამოთხარა“





გვ.2

## „ხელისუფლება საკუთარი ჯალათების ტყვეობაშია“

ნიკა მელია: „ქართული ოცნება“ გვარ ფარცხალაძეს ვერ ახსენებს“

## ირაკლი კობახიძე: „მირზა სუბელიანის მუქარის არ გვეშინია“



გვ.2

## „ოცნება“ კორუმპირებული მტაცებლების ხროვად გადაიქცა“

თორნიკე შარაშენიძე: „სალომე ზურაბიშვილის გაყვანა მათთვის კიდევ უფრო უარესი იქნება“



გვ.5



გვ.4

## „მერაბიშვილს გაუჭირდება ნაციონალების და „ევროპული საქართველოს“ შერიგება“



გვ.6

## ჯემალ გამახარია: „ბესარიონ აპლიას არავინ არაფერს ეკითხება“



გვ.6

## „ენგურჰესის გაჩერების შემდეგ ვეღარ დაგეხმარებით“

სამართალი გვ.7

## „თქვენი დედა მოვ...ნ“ – ბორის კაკუბავამ ჟურნალისტებს შეაგინა



## ვანო მერაბიშვილი: „მარგველაშვილმა იცის, რომ ჩემი გათავისუფლება მისთვის ძალიან სარისკოა“





## ხობში ოპელი ხეს შეეჯახა და დაიწვა

ISSN 1987-9385

**5** დავით უსუფაშვილი: „პროკურატურის ასეთი არაფრისმთქმელი განცხადებები მხოლოდ ნავთს ასხამს ცეცხლზე“

**4** რევაზ არველაძე: „არც ერთ საკვანძო თანამდებობაზე არ უნდა დარჩენილიყო ხალხი, ვინც „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვაში ხელს შეუშლიდა“

**5** ნინო ლომჯარია: „მირზა სუბელიანმა ფარულ ჩანაწერთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ მოგვაწოდა“

**4** თბილისში, თეთრი ფერის გარდა, გარკვეულ შემთხვევაში სხვა ფერის ტაქსებიც იმოძრავებენ

# „ხელისუფლება საკუთარი ჯალათების ტყვეობაშია“

## ნიკა მელია: „ქართული ოცნება“ გვარ ფარცხალაძეს ვერ ახსენებს“

ნათია ხურცილავა



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **ნიკა მელია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე საუბრობს.

***– თქვენი შეფასება როგორია გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე, რომლის შესახებ გამოძიება ხელისუფლებამ დაიწყო?***

– ეს ხელისუფლება აბსოლუტურად მოწყდა რეალობას. ამ ქვეყანას ხელისუფლება არ ჰყავს. ამ ქვეყანას პროკურატურა არ ჰყავს. ამ ქვეყანას არც ერთი მინისტრი არ ჰყავს, მაგრამ ამ ქვეყანას ჰყავს მირზა სუბელიან, მისი დაჯგუფებები, ჰყავს ფარცხალაძე თავისი დაჯგუფებებით. ოთარ ფარცხალაძე და მირზა სუბელიანი თუ რა განცხადებას გაავრცელებენ და მათი უკანონო ბანდფორმირებების წევრები, შეიძლება ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყოს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ რეალურად დღეს ქვეყანას ისინი მართავენ. პროკურატურის შენობაში ვინ არის ფორმალურად პასუხისმგებელი პირი, ეს მეათეხარისხოვანია. იქაც ფარცხალაძეა და სარდაფშიც ფარცხალაძეა, ყველგან ფარცხალაძეა.

იმის ნაცვლად, რომ გამოძიების მთავარი თემა იყოს თუ ვინ აწამეს, როგორ აწამეს, რატომ აფარებდნენ ხელს დავით სარალიძის მკვლელებს, მთელ ამ საქმეში სუბარის ჩართულობა გამოიძიონ, რომელზეც უამრავი მტკიცებულება არსებობს, იმის ნაცვლად, რომ ამ ყველაფერზე იყოს საუბარი, 9 წელზე ძახილი გვესმის. ქვეყანას რეალურად პროკურატურა რომ ჰყავდეს, სწორედ ამ საქმეებით დაკავდებოდა და არა უკანა რიცხვით რომ აღძრეს ვითომ საქმე. მთელ ამ ამბავში მხოლოდ ის აინტერესებთ, თუ როგორ გავრცელდა ჩანაწერები. თვლიან, რომ ეს არის მთავარი.

***– გამოძიება დაიწყო, არ გჯერათ?***

– ახლა მთავარია დადგინდეს, როგორ ხდებოდა ქურდების შეყვანა, ადამიანების წამება და ხელისუფლებისთვის სასურველი ჩვენებების მიღება. ახლა სწორედ ამაზე უნდა იყოს ხელისუფლება კონცენტრირებული, მაგრამ რა, ხელისუფლება საკუთარ თავს გამოუტანს განაჩენს?! ხელისუფლებას განაჩენს საკუთარი ხალხი გამოუტანს. ვინაიდან არჩევნები სულ რაღაც 12 დღეში არის, ეს ყველაფერი 12 დღეში მოხდება.

თუ მაინცდამაინც ხელისუფლებას მათ დავარქმევთ, ვხედავთ, რა განცხადებები კეთდება. ერთნი ადასტურებენ, მეორენი უარყოფენ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობს ადამიანი, ვისაც კი ეჭვი ეპარებოდეს ამ ჩანაწერების ავთენტურობაში. ქვეყანაში არ არსებობს ობიექტური ადამიანი, ვისაც ეჭვი ეპარებოდეს იმ ყველაფერში, რაც ჩვენ საკუთარი ყურებით მოვისმინეთ.

***– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– მოლოდინი არის ერთი. ვინაიდან არჩევნები კარს არის მომდგარი, საზოგადოებამ, ხალხმა უნდა გასცეს პასუხი ამ კრიმინალურ ბანდფორმირებებს. ფარცხალაძეებს, გახარიებს, მირზა სუბელიანებს და ა.შ. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ძალიან ბევრი რამ გაირკვევა. თავად „ქართული ოცნების“ წევრების ნაწილი ისაუბრებს იმ რეალობაზე, რომლის თქმასაც ბევრი მათგანი დღეს ვერ ბედავს. სამწუხაროა, რომ დღეს პრაქტიკულად არათუ ვერავინ ვერ საუბრობს სიმართლეზე, გვარ ფარცხალაძეს ვერ ახსენებენ. ვერ ახსენებენ იქიდან გამომდინარე, რომ დღეს ამ ქვეყანას მართავენ არაფორმალური ადამიანები, ფანტომები. ისინი, ვინც თან არიან და თან არ არიან.

პარლამენტი, წესით და რიგით, მთავრობის კონტროლს უნდა ახორციელებდეს, მაგრამ როდესაც მთავრობა არ არსებობს, როგორი კონტროლი უნდა დააწესო?! მით უფრო იმ ფონზე, როდესაც პარლამენტიც არ არსებობს. არსებობენ ფარცხალაძეები და ეს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები. მათზე რომც უნდოდეთ კონტროლი, ვერ დააწესებენ.

***– აქ სისტემური დანაშაული რამდენად იკვეთება?***

– არათუ იკვეთება, სისტემური დანაშაული სახეზე არის. ეს არის პრელუდია, დასაწყისი, ძალიან ბევრ რამეს შევიტყობთ უახლოეს პერიოდში. ყველაფერს ფარდა აეხდება. ხომ გავიგეთ, ფარდა აეხადა და საბოლოოდ დავრწმუნდით, თუ რატომ არ არის სარალიძის მკვლელი დასჯილი. ისიც ხომ გავიგეთ, რომ ამ ყველაფერში მინისტრები იყვნენ ჩართულნი. გავიგებთ, რომ მინისტრი სუბარი ფიგურირებს, გავიგეთ, რომ კანონიერი ქურდები შეჰყავდათ ციხეში, აწ გარდაცვლილი ვინმე ავალიანი. გავიგეთ, რომ მოწმეებს აწამებდნენ და სწორედ ამ გზით მოიპოვებდნენ სასურველ ჩვენებებს.

***– თუმცა, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

– რეალური არ არის ის ფაქტი, რომ დავით სარალიძის მკვლელი დღემდე არ არის დაკავებული. რეალური არ არის ის, რომ თათუხაშვილი ნაწამები იყო და ისე გარდაიცვალა. მოლოდინი ნუ იქნება, რომ ეს ხელისუფლება საკუთარ თავს წირვას თვითონ გამოუტანს. ეს მოხდება, მაგრამ არა მათივე ხელით, არამედ ხალხის ხელით. საზოგადოება აიძულებს ამ ხელისუფლების ნაწილს მაინც, რომ სწორი და სამართლიანი განცხადებები მაინც გააკეთონ, რასაც ახლა ვერ ბედავენ, რადგან შეშინებულები არიან.

საკუთარი ჯალათების ტყვეობაში არიან, რომლებიც საკუთარ წიაღში თავად შექმნეს, ახლა ეს ჯალათები მათ მიუბრუნდნენ და იმ კომპრომატებით ემუქრებიან, რომლებიც მათ აქვთ. ყველა ის უკანონო დავალება, რომელიც წლების განმავლობაში მიიღო ფარცხალაძემ, სუბელიანმა, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მათ ფირზე აქვთ ასახული და დაარქივებული მტკიცებულებების სახით. აქედან გამომდინარე ხელისუფლება ტოტალურ ტყვეობაში არის. გულახდილად გეტყვით, რომ პირველ რიგში „ქართული ოცნების“ წევრები არიან საფრთხის ქვეშ.

***– რას გულისხმობთ?***

– პარადოქსია, მაგრამ დღეს ოპოზიციასთან შედარებით, ესენი ბევრად უფრო მოწყვლადები არიან. ოპოზიცია ასე თუ ისე დაცულია, ესენი არა. როდესაც საქმე შიდა გარჩევებს ეხება, ამ გარჩევების მოქმედი გმირები დუმან. დუმან მანამ, სანამ საზოგადოება ვერ გაიგებს ამის შესახებ. ამის ნათელი მაგალითი ყიფიანის ამბავი იყო. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ლევან ყიფიანია ის ერთადერთი ადამიანი, ვინც ფარცხალაძის სარდაფშია ნამყოფი, ძალიან ცდება.

***– თქვენ პარლამენტის თავმჯდომარისგან ითხოვდით ადეკვატურ შეფასებას. გამოძიებაზე კონტროლს განვახორციელებთო. არ გჯერათ?***

– პარლამენტს რეალური თავმჯდომარე რომ ჰყავდეს, უმრავლესობის წევრები საგანგებო სხდომას მოიწვევდნენ და საგანგებო რეჟიმში განიხილავდნენ და მთავრობის ნდობის საკითხს დააყენებდნენ, მაგრამ ჩვენ დავინახეთ პოლიტიკური დაქოქილი თოჯინა ერთი და იგივე გზავნილებით. ხალხმა ნაციონალური მოძრაობის მთავრობა გადაირჩია არა იმიტომ, რომ უარესი უნდოდა, უკეთესი უნდოდა და უკეთესის მოლოდინი ჰქონდა ხალხს. კოჭს უგორებენ ივანიშვილს და იმის გამო, რაც დღეს ბატონმა კობახიძემ გააკეთა, რომელიმე მის სასახლეს ერთი სართული დაემატება. 6 წლის მანძილზე მათ მთელი საქართველო გაალატაკეს, მაგრამ თავად გამდიდრდნენ და ეს კარგად ვნახეთ. განა ვერ ხვდებიან, რომ ქვეყანაში პრობლემაა, იციან, მაგრამ რა თქვან?! სიმართლეს ვერ იტყვიან, რადგან ფარცხალაძის სარდაფი დღესაც მოქმედია. სადაც ყიფიანი აღმოჩნდა ფარცხალაძის მსხვერპლი, კობახიძე რატომ ვერ აღმოჩნდება?! ამიტომ ვამბობ, რომ პირველ რიგში ეს ადამიანები არიან ტყვეობაში. შიდა გუნდური გარჩევებისა და ცემა-ტყეპის დროს ეს ხალხი არის პირველ რიგში დასახსნელი.

რაც შეეხება გამოძიებას, რა უნდა გამოვაძიებინოთ ამ ხალხს?! რა, ეს ხალხი ფარცხალაძეებს, სუბელიანებს კონტროლქვეშ აიყვანს, დაკითხვაზე მიიყვანს თუ რას იზამენ?! როგორ გამოიძიებენ, როგორ?! ამ ადამიანების მიზანი საქმეების გამოძიება, უკეთესი მომავალი და ქვეყნის წინ წაყვანა კი არ არის, გამდიდრება და გამდიდრებაა სახელმწიფოს ხარჯზე. რასაც 6 წლის მანძილზე აკეთებდნენ იმას გააკეთებენ და გააგრძელებენ ხვალაც და ზეგაც, მაგრამ ძალიან ცოტა დრო დარჩათ. ბატონი კობახიძე ოპოზიციაზე კი არ უნდა გაბრაზდეს, კრიმინალი უნდა ალაგმოს ქვეყანაში, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი საკუთარ თავს დაისჯის?! მთავარი პროკურორი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატია, რამეს გამოიძიებს?! ამის ვის სჯერა?!

დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე ადასტურებს, რომ ის იყო ციხეში შესული და საუბარი ჰქონდა სუბელიანთან, მაგრამ ქალბატონ ბესელიას ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ეს ჩანაწერი არ იქნება რეალობა, იცით რატომ? იმ ჩანაწერში ქალბატონ ბესელიაზეც არის საუბარი და ამიტომ.

# ირაკლი კობახიძე: „მირზა სუბელიანის მუქარის არ გვეშინია“

შორენა მარსაგიშვილი

მირზა სუბელიანის აღსარებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს კანონმდებლებს სათუთი ნერვები აუტოკა. ყოფილი ხელისუფლების წევრები მოქმედ ხელისუფლების წევრებს მოძალადეებს და მწამებლებს ეძახდნენ. მათ შემოტევას სისხლიანი 9 წლის ყვირილით იგერიებდნენ.

განსაკუთრებულად იყო გაცეცხლებული პარლამენტის თავმჯდომარე. ბიუროს სხდომაზე მან ნაციონალებს სულ ქოქოლა აყარა. ქოქოლანაყარმა ნიკა მელიამ პირველ კანონმდებელს დაქოქილი თოჯინა ეძახა.

– არანაირი პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე არ არის. საქართველოს პარლამენტს რომ ნამდვილი დეპუტატები ჰყავდეთ, აუცილებლად მოიწვევდნენ საგანგებო სხდომას და ხვალვე დააყენებდნენ მთავრობის ნდობის საკითხს. პოლიტიკური დაქოქილი თოჯინა, ერთი და იგივე გზავნილები, 2018 წელია კალენდარზე და წინა წლებზე საუბრობს, – განაცხადა მელიამ.

მას ვალში არც კობახიძე დარჩა, კოლეგას პირადი ცოდვების მოკითხვა ურჩია. სპიკერი ქვეყნის უბედურებად მიიჩნევს იმას, რომ ნაცმოძრაობა მაღალ მატერიებზე საუბარს ბედავს.

– ბანდიტები თქვენკენ მოიკითხეთ, სასახლეებიც თქვენკენ მოიკითხეთ და კრიმინალიც თქვენკენ მოიკითხეთ. რაც შეეხება კრიმინალებს, კრიმინალები თქვენკენ მოიკითხეთ და საკუთარი პირადი ცოდვებიც მოიკითხეთ ბატონო ნიკა, გარდა გუნდის ცოდვებისა.

ზოგადად ნაცმოძრაობის წარმომადგენელი რომ საუბრობს მაღალ მატერიებზე ჩვენს ქვეყანაში, ეს არის უბედურება და ეს უბედურება დასრულდება ძალიან მალე. „ნაცმოძრაობა“, რომელიც გამოირჩეოდა გაუპატიურებით, ადამიანის ღირსების შელახვით, ბიზნესის რეკეტით, ათასი უბედურებით. ეს ადამიანები ახლა ლაპარაკობენ რაღაცა სპექტაკლებით გამოგონილ თემებზე. ერთი სპექტაკლი დაიწყეთ და ჩაგივარდათ, დაიწყეთ მეორე სპექტაკლი და ისევ ჩაგივარდებათ, როგორც მეორე, – განაცხადა გაცეცხლებულმა კობახიძემ.

მირზა სუბელიანის შოკისმომგვრელ აღსარებას მან წარუმატებელი და უკვე დასრულებული სპექტაკლი უწოდა.



პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მმართველ გუნდს სუბელიანის მუქარის არ ეშინია და პრინციპების შესაბამისად მოქმედებს.

ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით ჩააკონკრეტა, რომ თუ იქნება ვინმეს მხრიდან კონკრეტული დანაშაული, პარლამენტი არც ერთ შემთხვევაში არ დახუჭავს თვალებს.

– თქვენი მესიჯი იყო ის, რომ თითქოს ჩვენ გვეშინია მუქარის, შანტაჟის, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არც მუქარის გვეშინია, არც შანტაჟის გვეშინია და ეს ადამიანი დღეს ზის იქ, სადაც ზის. შესაბამისად, მომავალშიც გვექნება, ბუნებრივია, იგივე მიდგომა. თუ იქნება მუქარა, მაგალითად, მირზა სუბელიანის მხრიდან, ჩვენ ამ მუქარის არ გვეშინია და ზუსტად ვმოქმედებთ ჩვენი პრინციპების შესაბამისად იმიტომ, რომ არავის არ ეშინია მუქარის.

რაც შეეხება კონკრეტულ საქმეს, რომელსაც იძიებდა საგამოძიებო კომისია, ჭეშმარიტება არის ისევ იგივე, რაც დადგინდა ჯერ პროკურატურის მიერ და რაც დადგინდა შემდეგ საგამოძიებო კომისიის მიერ. როგორც ვერ დაადგინა ასპროცენტიანი სიზუსტით პროკურატურამ, თუ ვინ იყო სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი იმ საქმეში, ასევე ვერ დაადგინეთ ვერც თქვენ. ეს არის მთავარი გარემოება. დანარჩენი, ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს ჩვენი როლი. თუ ვინმე რამეს დააშავებს, თუ ვინმეს აქვს კონკრეტული დანაშაული, გადაცდომა, ამაზე გპირდებით, რომ პარლამენტი არც ერთ შემთხვევაში არ დახუჭავს თვალებს, თუმცა, რაც შეეხება 9 წელს, ეს მესამე საკითხი იყო, მინდა გაგცეთ პასუხი: ზუსტადაც რომ ეს იყო ფაშისტური, ნაცისტური ღირებულებებით მოქმედი რეჟიმი, რომელმაც შედეგად მოგვცა ადამიანების წამება, გაუპატიურება, ეს იყო კონკრეტული ფაქტები, ამას არანაირი ფარული ჩანაწერები არ სჭირდებოდა.

ფარულმა ჩანაწერებმა მხოლოდ და მხოლოდ გაამყარა ის აღქმა, რომელიც ისედაც იყო ჩამოყალიბებული საზოგადოებაში და ეს 9 წელი არ იყო უბრალო გადაცდომების 9 წელი. ეს იყო უმძიმესი დანაშაულების, ადამიანის ღირსების ტოტალური ხელყოფის 9 წელი და ზუსტად ამიტომ გაგცათ თქვენ პასუხი საზოგადოებამ 2012 წელს და ამიტომ კიდევ ერთხელ გაგცემთ პასუხს საზოგადოება ამ არჩევნებში, 28 ოქტომბერს, – მიმართა ოპოზიციას სპიკერმა.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ჩანაწერში კონკრეტული პირის მხრიდან, კონკრეტული მუქარა ამოიკითხა.

– რაც შეეხება 14 ოქტომბერს გასულ ჩანაწერს, მე აქ ამოვიკითხე კონკრეტული მუქარა კონკრეტული პირის მხრიდან, ისევე, როგორც ამოვიკითხეთ ეს მუქარა თავის დროზე, ოქუაშვილის მხრიდან. ამ მუქარის არავის არ ეშინია. ვერც ნიკა გვარამიას მიერ მინიჭებული იმუნიტეტი ვერ დაიცავს ვერავის, როდესაც ის ემუქრება ხელისუფლებას, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს კონკრეტული პასუხები კითხვაზე და ამ კითხვებს პასუხები აუცილებლად გაეცემა.

რაც შეეხება ზოგად სურათს, ჩვენ გვპირდებოდნენ, რომ ახალ საქართველოში გავიღვიძებდით ამ ჩანაწერის შემდეგ და ეს საქართველო არის ისევ ის საქართველო, რაც იყო გუშინ. ეს არის ის საქართველო, სადაც წარსულში „ნაცმოძრაობა“ აწამებდა, აუპატიურებდა, აყაჩაღებდა ბიზნესმენებს. კიდევ ერთხელ გავიხსენებ, 10 ათასი კაცი როცა ჩუქნის სახელმწიფოს ქონებას, იმას ფარული ჩანაწერები არ სჭირდება. ვერანაირი ფარული ჩანაწერებით ამ რეალობას ვერ შეცვლიდა, ზუსტად ამიტომ დაემხო თქვენი რეჟიმი და ზუსტად ამიტომ მოხდა სათანადოდ თქვენი რეჟიმის მხილება, იმიტომ, რომ ამას აკეთებდით თქვენ 9 წლის განმავლობაში და ცარიელ ადგილზე კონკრეტული გადაცდომის და დანაშაულის გარეშე, ვერანაირი ფარული ჩანაწერით, ვერანაირ კომპრომატს ვერ შექმნით. აქ ექნება პარლამენტს თავისი როლი და პარლამენტი უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა კითხვას გაეცემა პასუხი. მგონი სათანადოდ ვთქვით ყველაფერი, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზვიად კუპრავა: „მირზა სუბელიანს წამების კადრები შეიძლება ჰქონდეს ჩაწერილი“

## „ის ქმნიდა მტკიცებულებას იმისთვის, რომ თუ ზემდგომები გაწირავდნენ, მათზე კომპრომატები ჰქონოდა“

შორენა მარსაგიშვილი

მირზა სუბელიანის აღსარებამ საზოგადოება შოკში ჩააგდო. საქართველოში აქამდეც ყველამ იცოდა, რომ ის ხელისუფლებას სკანდალური ჩანაწერით აშანტაჟებდა, მაგრამ მის ხელში თუ ამდენი სკანდალი მოიყრიდა თავს, ამას მრავლისმნახველი ერი ვერ წარმოიდგენდა.

პირველი, ვინც სუბელიანის ხელთ არსებულ სკანდალურ ჩანაწერზე ალაპარაკდა, სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა იყო. მისი თქმით, სუბელიანს ვანო მერაბიშვილის ციხიდან უკანონოდ გაყვანის კადრები ჰქონდა.

რამდენიმე თვის წინ კუპრავამ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ყოფილი მაღალჩინოსნის ხელთ კიდევ სხვა ჩანაწერებიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი ვარაუდი გამართლდა. კუპრავა არ გამორიცხავს, რომ სუბელიანს იმაზე მძიმე ჩანაწერები აქვს, რაზეც ციხის საკანში საუბრობდა.

რატომ აკეთებდა ამ ჩანაწერებს სუბელიანი, რა ფაილები გაატანა თავის სიმამრს თურქეთში, რა სკანდალს უნდა ველოდოთ მომავალში, რა გაგრძელება ექნება ამ პროცესს? — ამის შესახებ **ზვიად კუპრავა** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— თქვენ პირველი იყავით, ვინც მირზა სუბელიანის ხელთ არსებულ კომპრომატებზე დაიწყეთ საუბარი. ელოდით, რომ მას ასეთი სკანდალური მასალა ჰქონდა?***

— ჩემი აზრით, მირზას ხელთ არსებული ჩანაწერები ბევრად უფრო მასშტაბური და მძაფრსიუჟეტიანია, ვიდრე ჩვენ ვიხილეთ. ისეთ რაღაცეებს ვიხილავთ, რისი დადგმა სტივენ სპილბერგსაც კი გაუჭირდება.



„ბიძინამ იმდენი თხარა, სანამ მირზა სუბელიანი არ გამოთხარა“

მირზა სუბელიანი იყო ის პირი, რომელიც ყველა შავ სამუშაოს ასრულებდა. ამას თავადაც აღიარებს. პირდაპირ ყვება, ვინაიდან ბაჩო ახალაიას ვერ უმტკიცებდნენ დანაშაულს, ქურდები გააბოზეს. ის ასევე საუბრობს იმაზე, თუ როგორ შედიოდნენ მაღალი თანამდებობის პირები გაუბაზრებლად იქ, სადაც მათი ადგილი არ იყო.

არ დაგვავიწყდეს, რომ ის სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციის უფროსი იყო და უზარმაზარ ძალაუფლებას ფლობდა.

როცა თავისი შვილის საქმის მოგვარებას ცდილობდა, მაშინ, რა თქმა უნდა, სუბიექტური იყო, მაგრამ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებების მოსაპოვებლად მოწმეები ვიღაცის მითითებით გაიტაცა და აწამა.

***— ვის უნდა მიეცა მისთვის ამის ბრძანება?***

— ბრძანება იქნებოდა ზევიდან, ბიძინასგან და ა.შ. მას რაც დაავალეს, გააკეთა, მაგრამ ეს მტკიცებულების გარეშე არ გააკეთა.

***— რისთვის იწერდა ამ ყველაფერს, ეშინოდა, რომ რაიმე პრობლემები შეექმნებოდა?***

— მან ყველაზე კარგად იცოდა, რომ რასაც ის სჩადიოდა, იყო დანაშაული. იცოდა ისიც, რომ მსგავსი საქმეების გამო წინა ხელისუფლებას ხალხმა პრობლემები შეუქმნა. ეს გამოცდილება მან გაითვალისწინა და, როდესაც დანაშაულს სჩადიოდა, ქმნიდა მტკიცებულებას იმისთვის, რომ თუ ზემდგომები მას გაწირავდნენ, თავის დასაცავად მათ წინააღმდეგ კომპრომატები ჰქონოდა. ეს პრობლემები მას იმაზე ადრე დაუდგა, ვიდრე თავად წარმოიდგენდა.

***— სუბელიანის აღსარებასთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება გაჩნდა. არის კითხვები, ვინ ჩაიწერა და გარეთ ვინ გამოიტანა ეს საუბარი.***

— აქ არის სამი ვარიანტი. საუბარი შეიძლება ჩაეწერა სტუმარს, მასპინძელს ან ციხის ადმინისტრაციას.

***— მირზა სუბელიანს შეეძლო ამ საუბრის ჩაწერა?***

— შეეძლო. ჩამწერის მოხვედრა საკანში სირთულეს არ წარმოადგენს. ჩამწერი მოწყობილობის შეტანა ადვოკატს შეეძლო.

***— რამდენიმე თვის წინ თქვენ დაგიკავშირდათ მირზა სუბელიანის სიმამრი ბორის კაკუბავა. მაშინ თქვენ მირზა სუბელიანის ხელთ არსებული კადრების გადაცემას სთხოვდით. მხოლოდ ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებზე იყო საუბარი?***

— მაშინ მხოლოდ მერაბიშვილის კადრებზე გვქონდა საუბარი. ამ კადრებზე საუბარი პირველმა მე დავუწყე. მათ არც იცოდნენ, რომ ეს ამბავი ვიცოდი. ისიც ვიცოდი, რომ ეს ჩანაწერები სუბელიანმა სხვა აიტიშნიკებს მოახსნევინა, ამისთვის ციხის აიტიშნიკები არ გამოუყენებია.

რაც ვიცოდი, ყველაფერი დეტალურად დავულაგე და ვუთხარი, რომ თუ თავად სუბელიანს არ სურდა ამ კადრების პროკურატურაში მიტანა, ამას მე გავაკეთებდი. ამ თემაზე არაერთი საუბარი გვქონდა და მათ არც ერთხელ არ უარუყვიათ, რომ ეს კადრები ჰქონდათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია.

ჩვენ შორის საუბარი დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. კადრების გადმოცემა გააჭიანურეს. მერე ვიფიქრე, ამათ უკვე იციან, რომ მე ამ სკანდალური ჩანაწერის შესახებ ვიცი. მე რომ აღარ ვყოფილიყავი, ერთით ნაკლები პრობლემა ექნებოდათ. ეს ადამიანები რომ ყველაფერზე წამსვლელები არიან, ყველამ ვნახეთ.

თავის დაზღვევის მიზნით ეს ინფორმაცია გავასაჯაროვე. ვთქვი, რომ ვანო ციხიდან გაიყვანა და ფარცხალაძესთან მიიყვანა დარბაისელმა. ამ ყველაფერს ტექნიკურად აგვარებდა მირზა სუბელიანი.

ციხის პერიმეტრზე რაც ხდება, ყველაფერი კამერებზე იწერება. მირზას უთხრეს, რომ ეს ჩანაწერი გაენადგურებინა. მან მოიყვანა აიტიშნიკები და გაყვანის კადრების ასლი ჩაიდო ჯიბეში, რის შემდეგაც ეს ჩანაწერები გაანადგურა.

სადაც ეს ჩაიწერა, იქ რატომ არ ჩაიწერდა მოწმეების წამებას? ამ ჩანაწერებით ემუქრება ახლა ხელისუფლებას.

***— თავის აღსარებაში სუბელიანი ამბობს, ორი კადრით დავამთავრებ ხელისუფლებასო. ამ ორ კადრში ვანოს გაყვანა ალბათ არ იქნება, ამის შესახებ უკვე ყველამ იცის.***

— ვანოს გაყვანის კადრებს ნახვის რეზონანსულობა უკვე დაეკარგა. არავის რომ არ სცოდნოდა, მაშინ ექნებოდა ეფექტი, ახლა ყველამ იცის ეგ ამბავი.

არ გამოვრიცხავ, რომ წამების კადრები ჰქონდეს ჩაწერილი. ეს ხელისუფლება ოპოზიციაში ყოფნისას სულ გაიძახოდა, ნაციონალები გაწამებენ, ჩვენ მოვალთ და მოგეფერებითო. ხალხი რომ ნახავს, რომ ახლა „ოცნებაც“ აწამებს, მისთვის ეს შოკი იქნება, ცხადია.

პირადად ჩემთვის, რაც არ უნდა გამოქვეყნდეს, შოკი არ იქნება. 2012 წელს „ოცნებისთვის“ ხმა არ მიმიცია. ზუსტად ვიცოდი, არაფერი შეიცვლებოდა. კარგად ვიცოდი, რომ ჩემი ხელფასი 2.000 ლარი არ გახდებოდა და არც პენსია იქნებოდა 400 ლარი.

ამათთვის ხმა არ მიმიცია და, შესაბამისად, იმედგაცრუება არ მაქვს, მხოლოდ გაბრაზებული ვარ. „ოცნების“ მხარდამჭერები გაბრაზებულებიც არიან და იმედგაცრუებულებიც.

ეს ორი კომპონენტი ქმნის იმის წინაპირობას, რომ „ოცნების“ მხარდამჭერები ჩემზე უფრო სწრაფად მიირბენენ ბიძინამდე.

***— ისევ სუბელიანის ნაამბობს მინდა დავუბრუნდეთ. გამორიცხავთ, რომ სუბელიანს ვიქტორ ჯაფარიძესთან ტყუილად ეთქვა, რომ ჩანაწერები აქვს, იქნებ, ვანოს გაყვანის კადრების გარდა, არც არაფერი აქვს და ხელისუფლებას ისე აფრთხილებს?***

— მირზა ისეთი ტიპია, ყველაფერს ჩაიწერდა. ვანოს გაყვანა თუ ჩაიწერა, ბაჩო ახალაიას საქმეზე მოწმეებს როგორ აწამებენ, ამასაც ჩაიწერდა. ის იყო გენინსპექციის უფროსი და მას ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ახლა ამ ჩანაწერებით აშანტაჟებს ხელისუფლებას.



„ვანოს გაყვანის ამსახველი მასალა გარედან მოყვანილ აიტიშნიკებს წააშლევინა“

***— თუ გავითვალისწინებთ, როგორ მიდიოდა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ თვეების მანძილზე სუბელიანი მართავდა „ოცნებას“?***

— „ოცნებას“ აშანტაჟებდა. ქვეყანას და პარტიასაც ბიძინა მართავს. მის მერე, როგორც ვნახეთ, ფარცხალაძეა. მირზა სუბელიანიც აშკარად ერევა პროცესებში. მაღალი მასშტაბია თუ დაბალი, არ ვიცი, მაგრამ გავლენა ნამდვილად აქვს.

***— გავლენა როგორ არა აქვს, მთავარ პროკურორს შეელივნენ, პრემიერს შეელივნენ და სუბელიანს ხელი ვერ მოკიდეს.***

— სულ მაგას არ ვამბობდი, რა გახდა ამ მირზას დაჭერა-თქო? მაშინ მართლა მიკვირდა, ახლა უკვე აღარ მიკვირს, თუ რატომ არ იჭერდნენ. მირზა არც ახლა არაა დაჭერილი. როგორც ირკვევა, თავად წასულა ერთწლიან სასჯელზე. მისივე საუბრიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში უნდა მოხდეს მისი ფინანსური უზრუნველყოფა.

***— აბა რატომ არის ეს ადამიანი უკმაყოფილო?***

— როგორც ჩანს, მან იგრძნო, რომ „ოცნება“ სათანადოდ არ აფასებს. ალბათ ჩათვალა, რომ ჩამოწერეს და რასაც ქურდებზე იძახის, თავად დაიწყო ის. ეს ჩემი სუბიექტური აზრია.

***— ქურდების თემა ახსენეთ და საუბარში სუბელიანი ამბობს, ქურდები გავაბოზეო. ერი წინა ხელისუფლებას იმის გულისთვისაც წყევლიდა, ქურდებს აწამებენო. ამათ კიდევ, როგორც მირზა სუბელიანი ამბობს, თურმე...***

— ისევე, როგორც სხვა პატიმრების, ქურდების მიმართაც იყო გადაცდომები, ციხეში მათი უფლებები დაირღვა, იყო კარანტინი, მაგრამ ნაციონალების დროს ქურდები არ გაბოზებულან.

***— თავის დროზე ნაციონალებმა თქვეს, რომ მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა გადაცდომას. სუბელიანის აღსარების შემდეგ „ოცნება“ ისევ 9 წელს გაიძახის და რა უბედურებაა ეს?***

— ეს 9 წელი ერთგვარი ბუას როლს ასრულებს. ბავშვებს ხშირად აშინებენ ხოლმე ბუათი და „ოცნებაც“ ამ ბუათი აშინებს ხალხს. იმდენს კი ვერ ხვდებიან, ბავშვი რომ გაიზრდება, მიხვდება, რომ ბუა არ არსებობს და მისი აღარ ეშინია.

საზოგადოებამ ახლა უკვე ყველაფერი კარგად იცის და ეს ბუა არ გაჭრის, სააკაშვილს 19 მილიარდს ედავებოდნენ და ბოლოს 2 პალტოზე ჩამოვიდნენ.

ისიც ხომ გამოჩნდა, რომ არც პატიმრების გაუპატიურების ამბავი ყოფილა სიმართლე. რამდენიმე ყოფილ პატიმართან მქონდა კომუნიკაცია და ისინი თავად არიან უკიდურესად შეშფოთებული.

***— შეშფოთებული რატომ არიან?***

— ხშირ შემთხვევაში მათ უწევთ იმის მტკიცება, რომ ციხეში ისინი არავის არ გაუუპატიურებია. იმ წლებში ვინც ციხეში იყო, ყველა უხერხულ მდგომარეობაშია და ყველას რაღაცის მტკიცება უწევს. „ქართულმა ოცნებამ“ პატიმრებს ძალიან ცუდი გაუკეთა.

***— იმდენი იძახეს, 26.000 გაუპატიურებული ვაჟკაციო, რომ ციხეში ვინც იყო, ყველა მართლა შავ დღეშია.***

— ჟარგონით რომ ვთქვათ, ყველა მათგანს გაუპატიურებულის იარლიყი შეტენა და ახლა მათ იმის მტკიცება უწევთ, რომ სუფთად გამოვიდნენ.

***— სუბელიანს დავუბრუნდეთ ისევ. ამბობენ, ის ნაციონალების დროსაც ასეთი მძიმე და შავ საქმეებს აკეთებდაო.***

— ნაციონალების დროს ის პროკურორი იყო. მას არც ნაციონალების დროს ვიცნობდი და არც ახლა შევხვედრივარ.

***— თუმცა თქვენ გააცანით ის ფართო საზოგადოებას.***

— ასე გამოვიდა. პირადად არასდროს მინახავს.

***— ამ სკანდალურ ჩანაწერში სოზარ სუბარის გვარიც ფიგურირებს და ის ფაქტობრივად სვანური მაფიის ბოსად გვევლინება. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სოზარ სუბარი ასეთ საქმეებთან ახლოს იქნებოდა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

— ძალიან საინტერესო იყო, სუბელიანი მაფიოზურ თემებზე როცა ლაპარაკობს, ამბობს, სოზარის დავალება იყოო. ყველამ ვიცოდით, რომ სოზარს დალევა უყვარს, მაგრამ მას მაფიოზური თემაც თუ ექნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი.

შეხედეთ, რა სურათი მივიღეთ — კაცი, რომლის მაფიოზობასაც ვერ წარმოიდგენ, მაფიოზი აღმოჩნდა და ის რა უნდა იყოს, ვისი მაფიოზობაც წარმოგვიდგენია, მაგალითად, გია ვოლსკი. მთელი ხელისუფლება სპირალშია შესული, საიდანაც გამოსვლა იქნება ძნელი.

***— ვოლსკის შეიძლება ცოტა ისეთი შეხედულება აქვს, მაგრამ ეგ უფრო არ იქნება მაფიოზი.***

— რატომ ვერ იქნება? სუბარს უცოდველი სახე აქვს და თურმე მაფიოზურ თემებს ალაგებს, თან დაჯგუფება ჰყოლია, 50 ავტომატჩიკი. სუბარს არც ხასიათი აქვს მაფიოზის. ვოლსკი პირდაპირ პროტოტიპია.

***— მაგაზე ჯერ არაფერი გაგვიგია და ჯვარი სწერია.***

— არც სუბარზე გვქონდა აქამდე რამე გაგებული. ან მირზა სუბელიანის არსებობის შესახებ იცოდა ფართო საზოგადოებამ? არავინ არ იცოდა. ამოვქექე ეს ადამიანი და ამოჰყვა ყველაფერი.

***— სუბელიანი ნამდვილად თქვენი ექსკლუზივია, ოღონდ ამით „ოცნებას“ საქმე გაუკეთეთ თუ გაუფუჭეთ, ეგ არ ვიცი.***

— თუ გაიაზრეს, რაც მოჰყვა ჩემი მხრიდან სუბელიანის აღმოჩენას, მაშინ კარგი დღე არ მელოდება.

***— შარი არც აქამდე გაკლდათ. მიმდინარე წლის დასაწყისში თქვენზე მოხდა თავდასხმა. მაშინაც იყო ეჭვი, რომ ეს თავდასხმა ხორავას ქუჩის საქმეზე თქვენს აქტიურობას უკავშირდებოდა, მაგრამ სუბელიანის აღსარების მერე შემთხვევითი თავდასხმის ვერსიას არავინ დაიჯერებს.***

— რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ჩემზე თავდასხმა იანვრის შუა რიცხვებში მოხდა. იმ პერიოდში ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ზაზა სარალიძესთან ერთად ძალიან აქტიურად ვმუშაობდი.

მირზა სუბელიანს ძალიან ბევრი სიბინძურე ამოჰყვა. სხვებსაც თუ ასე ღრმად ჩაყვებიან, იმათ შეიძლება უარესი სიბინძურეები ამოჰყვეს. ქვეყანაში მაფიოზური მმართველობაა და სხვას რას ელოდით.

ქვეყნის მმართველი არის მთავარი მაფიოზი ბიძინა. მის გარშემო იჩეკებიან და იჩეკებიან პატარა მაფიოზები. მაფიოზობა გარანტირებულ შემოსავლებს, ხელშეუხებლობის გარანტიებს და ბიძინასთან ძმაკაცობას ნიშნავს. შევარდნაძის დროს ყველა მოსწავლეს კანონიერი ქურდობა უნდოდა, ახლა ყველას მაფიოზობა უნდა.

***— ისევ ჩანაწერებზე გკითხავთ, სუბელიანი რომ ამბობს, ორი კადრით დავამთავრებ „ოცნებასო“, ამ საუბრის გასაჯაროების შემდეგ გამოყრის იმ ჩანაწერებს?***

— რატომმაც არა. ზაფხულში აქციები რომ მიდიოდა, მაშინ ვთქვი, რომ სუბელიანმა ჩანაწერები (იმ დროს მარტო ვანოს კადრების შესახებ ვიცოდი) თავის სიმამრს, ბორის კაკუბავას თურქეთში გაატანა. მირზა საკანშიც საუბრობს, რომ ჩანაწერები გადააზღვია. მას ნებისმიერ დროს შეუძლია მათი გამოყრა. ბიძინამ იმდენი თხარა, სანამ მირზა სუბელიანი არ გამოთხარა.

# „მერაბიშვილს გაუჭირდება ნაციონალების და „ევროპული საქართველოს“ შერიგება“

## სოსო ცინცაძე: „ჩინოვნიკების მდიდრული ბინები მორალური არაა, დაუწერელი კანონია, ფუფუნებით არ იკეკლუცონ“

იაგო ნაცვლიშვილი

შაბათს, „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ფეშენებელური სახლების შესახებ, რომლებიც „ოცნების“ ყოფილმა და ახლანდელმა ჩინოვნიკებმა 2012 წლის შემდეგ აიშენეს, ანუ იმ პერიოდში, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა.

კვირას „რუსთავი 2“-მა ვანო მერაბიშვილთან ციხეში ჩაწერილი ინტერვიუც გაავრცელა. ამ თემებზე „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** ესაუბრა:

***— ბატონო სოსო, „რუსთავი 2“-ზე გავიდა სიუჟეტი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ფეშენებელურ სახლებზე, რომლებიც მათ 2012 წლის შემდეგ აიშენეს. არის თუ არა კორუფციის ნიშნები და ხომ არ გადაიყოლებს ასეთი ფაქტები „ოცნებას“?***

— გადაყოლებით არ გადაიყოლებს. მიჭირს განვაცხადო, რომ ეს კორუფციით ნაშოვნი ფულია. არ არის გამორიცხული, რომ ვთქვათ, ივანიშვილმა აჩუქა. ცნობილია, რომ ივანიშვილმა რამდენიმე მინისტრს აჩუქა ბინა. ვიცი ერთი შემთხვევა, არ მინდა გვარი დავასახელო, უკვე აღარ არის ივანიშვილთან, რომელსაც ბრწყინვალე ბინა უყიდეს და დღეს ის დაკეტილია.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ლატარიაში მოგებული ფულით აეშენებინათ, ეს ძალიან დიდი დარტყმაა ხელისუფლების პრესტიჟზე. როდესაც მოკლე პერიოდში ჩინოვნიკები მდიდრდებიან, ეს ყოველთვის ეჭვის საბაბს იძლევა. გახსოვთ, სააკაშვილი როგორ უფრიალებდა საირმის მთაზე აშენებულ სახლებზე დოკუმენტებს, იქ სულ 2-3 სახლი იყო — უშიშროების მინისტრისა და მისი მოადგილის. დღეს გაცილებით მეტია ასეთი სასახლეები.

რიგითი ადამიანები ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც ზამთრის მოახლოებას ვერ ხვდებიან სათანადოდ. ვიღაც ფარდულში ცხოვრობს, ვიღაცა ფარეხში, ან ქუჩაში მოუწევთ ღამის გათევა.

***— ხელისუფლება საუბრობს სიღარიბის დაძლევაზე, ამ ფონზე რამდენად მორალურია ასეთი სახლები?***

— არ არის მორალური. ელემენტარულად რითი გვჯობს სამხრეთ ამერიკის პრეზიდენტები, რომლებიც ისევ იქ ცხოვრობენ, სადაც პრეზიდენტობისას ცხოვრობდნენ. ღატაკ ქვეყანაში დაუწერელი კანონია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ფუფუნებით არ უნდა იკეკლუცონ და არ უნდა გააღიზიანონ ღარიბი მოსახლეობა. თუნდაც, ფული წესიერი გზით იყოს მოპოვებული.

ჩინოვნიკს მოსახლეობა ირჩევს იმისთვის, რომ ხალხის ცხოვრება გააუმჯობესოს, მაგრამ ისინი თურმე საკუთარ ცხოვრებას აუმჯობესებენ. ჩვენთან ნდობის ინსტიტუტი არ მუშაობს. ჩვენთან სახელმწიფო მოხელეს ფეხებზე ჰკიდია, მისდამი ნდობა არის თუ არა მოსახლეობის მხრიდან. მისი ორიენტირი არის ერთი პიროვნება, მთავრობა ან მისი უშუალო უფროსი. მთავარია, ის ენდობოდეს.



***— სესიაშვილმა თქვა, რომ მშენებლობა 2009 წელს დაიწყო, თავდაცვის სამინისტრომ იზორიაზე თქვა, რომ კრედიტებით იყიდა.***

— მე თვითონ მემკვიდრეობით მიღებული მაქვს პატარა აგარაკი ქალაქგარეთ და ვიცი, რა ღირს მისი რემონტი და შენახვა. სესიაშვილის და ზოგიერთი სხვისის სახლი 3-4 მილიონი ლარი ღირს. რა კრედიტი აქვთ ასეთი აღებული?! გარდა ამისა, ბანკები კრედიტებს ყაჩაღური პროცენტით იძლევიან, მაგათ შეღავათიანი პროცენტით აქვთ აღებული. კი ბატონო, პრეზიდენტი ობამა დღესაც იხდის პროცენტს, მაგრამ იქ 5%-ია, ჩვენთან კი ლამის 30%-მდეა.

გარდა მაგისა, რატომ არიან დარწმუნებულები, რომ მომავალ არჩევნებშიც მაღალ ხელფასს აიღებენ, რა გარანტია აქვთ, რომ ისევ გაიმარჯვებენ არჩევნებში?!

***— განცხადებისას გულწრფელები არ არიან?***

— არაგულწრფელად მეჩვენება მათი განცხადებები. ან რაში სჭირდებათ ამხელა სახლები. ძიძიგურს ბევრი შვილი ჰყავს, მაგრამ ყველა ასეთი მრავალშვილიანი ოჯახია?! გარდა ამისა, მე-17 საუკუნეში ხომ არ ვცხოვრობთ, რომ ყველა ერთ სახლში ცხოვრობდეს. დღევანდელ საქართველოში 3 რძალი მესამე დღეს ერთმანეთს თმებით დაითრევს. ამიტომ ეს, უბრალოდ, გაუგებარია.

ეს არის სიმდიდრის შექმნა, კაპიტალდაბანდება. ზოგიერთს 6-7 ბინა აქვს. სამომავლოდ გაუჭირდებათ და გაყიდიან. ღატაკ ქვეყნებში მორალური დაუწერელი კანონები მოქმედებს. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სხვა კანონებია და ღატაკ ქვეყნებში — სხვა. როგორ ხასიათზე დადგება უსახლკარო ადამიანი, რომ გაივლის და 3- სართულიან სახლს დაინახავს. ზოგი ისევ ივანიშვილს ჩამოკიდებს კისერზე მკვდარ კატად, რომ აი, რა ხალხი მოიყვანე. ივანიშვილი რომ არა, ჩვენი პარლამენტარების 99% საკუთარი ყურებივით ვერ დაინახავდა საკუთარ თავს პარლამენტში.

***— საბოლოოდ თუ მოახდენს ეს გავლენას შედეგებზე, ვთქვათ საპარლამენტო არჩევნებისთვის?***

— თუ საპარლამენტო არჩევნების სამზადისიც ისე ჩატარდა, როგორც ახლა სალომე ზურაბიშვილის კამპანიას ატარებს მმართველი პარტია, მაშინ არანაირი საფრთხე არ ელოდება, გარდა რეპუტაციული ზიანისა. მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ჩვენში არ მუშაობს. არავინ არ ფიქრობს რეპუტაციაზე. ამაზე რომ ზრუნავდნენ, რაც ჩვენ ჩანაწერებში გვესმის, ვინც ფიგურირებენ, თანამდებობიდან უნდა გადადგნენ. სახელმწიფო მოხელეს არ უნდა სჭირდებოდეს იმის მტკიცება, რომ პატიოსანია.

***— ვანო მერაბიშვილმა რუსთავი 2-თან თქვა, რომ იმედი აქვს, რომ ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ შეძლებენ საერთო ენის გამონახვას. აქვს მერაბიშვილს ამის რესურსი?***

— არა მგონია. ეს არის მისი სურვილი. ეს შეიძლება მისი მხრიდან კეთილ სურვილად აღვიქვათ, იმიტომ, რომ ეს იყო მისი მშობლიური პარტია და მერაბიშვილმა ცხოვრების საუკეთესო წლები ამ პარტიაში გაატარა. იქ იყო წარმატებებიც, მისი საქმიანობის კარგიც და ცუდი მხარეც იქ იყო. ამიტომ, მისთვის ეს ძნელი აღსაქმელია პიროვნულადაც და ფსიქოლოგიურადაც. გუშინდელი მისი თანაპარტიელები ერთმანეთთან დაპირისპირებულები არიან. მცდელობა ექნება, მაგრამ ამ თვალსაზრისით იმედგაცრუება ელოდება, იმდენად შორს შეტოპეს ამ პარტიებმა.

უკანასკნელი შანსი იქნებოდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთი კანდიდატი დაესახელებინათ. მაგრამ მათ ორი კანდიდატი დააყენეს და ორივეს თანაბარი პრეტენზიები აქვთ პირველი ადგილისთვის. ეს ბზარი, რომელიც არჩევნების შემდეგ გაჩნდა, ამოუვსებელ უფსკრულად იქცა.

***— მან თქვა, რომ როდესაც ციხეს დატოვებს, პოლიტიკაში ჩართვას გეგმავს. თქვენ სად ხედავთ მას, რომელ პარტიაში?***

— გააჩნია. აქვს თუ არა წყენის ფაქტორი გუშინდელ თანამებრძოლებზე — ნაციონალებზე. მე არ ვიცი ეგ. შეიძლება პირადი წყენა აქვს. ჩვენთან, საქართველოში ხომ პირადული ფაქტორია გადამწყვეტი. პირადული ფაქტორი წყვეტს ყველაფერს და არა — სახელმწიფოებრივი ან პარტიული.

მე არ ვიცი, რომელ მხარეს არიან მისი უახლოესი მეგობრები. თანაც ალბათ ადევნებდა თვალ-ყურს, ვინ უფრო აქტიურად მოითხოვდა მის გათავისუფლებას, თუნდაც ახლა, ამ სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით. ამ ყველაფერს აქვს მნიშვნელობა და ის ამ ანალიზის საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას. მაგრამ, არა მგონია, რომ მერაბიშვილის ფაქტორი იქცეს გადამწყვეტად.

***— მან ისიც თქვა, რომ თავს მიიჩნევს პოლიტპატიმრად და ამ კონტექსტში სტრასბურის გადაწყვეტილებაც მოიშველია. ასევე თქვა, რომ მარგველაშვილს ვერ აკიდებდა მისი შეწყალების ტვირთს. სწორი იყო ეს მისი მხრიდან?***

— მერაბიშვილს არ მოუცია საფუძველი, მის გულწრფელობაში ეჭვი შევიტანოთ. გვახსოვს, რაც იყო „გაი“, პრაქტიკულად დაუჯერებელი იყო, რომ იქიდან ვინმე პატრულს შექმნიდა. მან ეს მოახერხა. დღევანდელი პატრული კი ემსგავსება „გაის“, მაგრამ პატრულის შექმნა მერაბიშვილის სახელს უკავშირდება. ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა მან არამოტივირებული და არაპრაგმატული სიმკაცრე გამოაჩინა. მერაბიშვილი ხელისუფლებისთვის საშიშროებას უკვე აღარ წარმოადგენს.

ხელისუფლებისგან შეცდომა იყო ისიც, რომ ევროკონვენციის მე-18 მუხლი დაირღვა მის მიმართ, რაც ევროპულმა სასამართლომ აღიარა თავის გადაწყვეტილებაში. როცა ეს მუხლი ირღვევა, ყველას აქვს უფლება, თავი პოლიტპატიმრად ჩათვალოს. ისიც სწორი იყო, როცა მერაბიშვილმა თქვა, რომ აზერბაიჯანში ასეთი პირი გაათავისუფლეს.



საკმარისი დრო გავიდა მისი პატიმრობიდან — 6 წელი, გარდა ამისა, ჯანმრთელობის პრობლემებიც აქვს. მერაბიშვილი არ არის 18-19 წლის ბიჭი, რომ არ ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემები და იგონებდეს.

***— ფიქრობთ, რომ პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს?***

— ხელისუფლებისთვის უკეთესი იქნებოდა, რომ თავად ხელისუფლება ყოფილიყო ამის ინიციატორი. დიდსულოვნება ყოველთვის ძვირად ფასობს პოლიტიკაში. ვერ ვხედავ „ოცნებიდან“ დიდსულოვნების გამოვლინებას არც ამ საკითხში და არც ზოგადად.

# რევაზ არველაძე: „არც ერთ საკვანძო თანამდებობაზე არ უნდა დარჩენილიყო ხალხი, ვინც „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვაში ხელს შეუშლიდა“



— არც ერთ საკვანძო თანამდებობაზე არ უნდა დარჩენილიყო ხალხი, ვინც „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვაში ხელს შეუშლიდა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა რევაზ არველაძემ ბიუროს სხდომაზე განაცხადა, სადაც მირზა სუბელიანთან დაკავშირებული ჩანაწერი და მასში ასახული საუბრის შინაარსი მწვავე კამათისა და ურთიერთბრალდებების საგანი გახდა.

არველაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2012 წლის შემდეგ, მინისტრების გარდა, არავინ შეიცვლა და „ძველი ხელისუფლების მიერ დანიშნული ხალხი მათ უფრო გაუწევდა ანგარიშს, ვიდრე ახალმოსულ ხელისუფლებას“.

მისივე თქმით, სწორედ ხელისუფლებისათვის ხელის შეშლა იწვევს იმას, რომ დაპირებების დიდი ნაწილი, რაც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა, ვერ შესრულდა.

— ნიკოლო მაკიაველი იმიტომ კი არ მომწონს, რომ ძალიან რადიკალი იყო და მაგალითად ამბობდა, რომ როდესაც ხელისუფლებაში მტერზე გამარჯვებით მოდიხარ მტერს შვილი კი არა, შვილიშვილი არ უნდა დაუტოვო ცოცხალი, რომ რევანშზე არავინ იფიქროს და ქვეყნის მართვაში ხელი არ შეგიშალოს. მე არ ვამბობ, რომ ვინმე ფიზიკურად უნდა მოგვესპო, მაგრამ არც ერთ საკვანძო თანამდებობაზე არ უნდა დარჩენილიყო ხალხი, ვინც ხელს შეუშლიდა „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვაში. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ეს „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გააკეთა, რადგან ძალიან ზედმეტი დემოკრატიულობა გამოიჩინა. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ასეთი დემოკრატიულობა ნამდვილად არაფერში სჭირდება, — განაცხადა რევაზ არველაძემ.

# თბილისში, თეთრი ფერის გარდა, გარკვეულ შემთხვევაში სხვა ფერის ტაქსებიც იმოძრავებენ

თბილისში, თეთრი ფერის ტაქსების გარდა, რიგ შემთხვევაში სხვა ფერის ტაქსებიც იმოძრავებენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ განუცხადა.

როგორც მუმლაძემ განმარტა, მერია ასეთ შესაძლებლობას იმ მოქალაქეებისთვის ტოვებს, რომელთა ძირითად საქმიანობას ტაქსით მომსახურების გაწევა არ წარმოადგენს და კლიენტებს ამ სერვისს ძირითადი სამუშაოს პარალელურად, გარკვეული საათების განმავლობაში სთავაზობენ.

— ეს არის ტაქსების ის კატეგორია, რომლებსაც ტაქსის ვიზუალი დღესაც არ აქვს, მაგრამ კლიენტებს ემსახურებიან. ეს არის ადამიანთა კატეგორია, რომლებიც ტაქსით მომსახურების სერვისს სამსახურში წასვლამდე ან სამსახურის შემდეგ წევენ, კლიენტებს კი მათ „ქოლ ცენტრები“ აწვდიან. ასეთი ადამიანები ბევრნი არიან. არის ასეთი კომპანიებიც, რომლებიც მათთან დარეგისტრირებულ მძღოლებს ეხმარებიან კლიენტების მოზიდვაში.

შესაბამისად, ასეთი ფენისთვის ჩვენ დავტოვეთ შესაძლებლობა, რომ მათ მომსახურება გასწიონ და დავარქვით B კატეგორია. მძღოლს შეუძლია, იყოს ბაზარზე ნებისმიერი ფერის მანქანით, უბრალოდ, ის ვერ იქნება ტაქსის ვიზუალში, არ ექნება ტაქსის ნიშანი და ვერ ისარგებლებს იმ სიკეთეებით, რომლებითაც სარგებლობენ A კატეგორიის მძღოლები: უფასო, მანათობელი ტაქსის ნიშნით, უფასო საპარკინგე ადგილებით, ავტომანქანაზე რეკლამის განთავსებით, მანქანის გადაღებვისა და სალონის ქიმიური წმენდის მომსახურებით, — განაცხადა მუმლაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული კატეგორიის ტაქსებმაც ლიცენზია უნდა აიღონ.

— B კატეგორიის ტაქსებისთვისაც იქნება მოთხოვნა, რომ მათ რეგისტრაცია გაიარონ და ლიცენზია აიღონ. ნებართვებს იმავე ფორმით აიღებენ, რითაც დღეს A კატეგორიის მძღოლები. თბილისის ტაქსის ვებგვერდზე გაჩნდება ელექტრონული ველები, რომლის შევსების შემდეგაც მანქანას კატეგორია მიენიჭება მძღოლის გადაწყვეტილების შესაბამისად. ასევე, ნებართვებს გასცემენ იუსტიციის სახლი და რაიონული გამგეობები. რეგულაცია 2019 წლის 1-ლი ოქტომბრიდან ამოქმედდება. რაც შეეხება ლიცენზიის აღების საფასურს, იგივე იქნება B კატეგორიის ლიცენზიის აღების საფასურიც. ჩვეულებრივი შიდაწვისძრავიანი ავტომობილებისთვის — 100 ლარი, ჰიბრიდებისთვის 50 ლარი, ხოლო ელექტროავტომობილებისთვის — უფასო. ასევე მოთხოვნა იქნება, რომ ლიცენზია მძღოლმა ავტომანქანაში გამოაკრას, ხოლო ლიცენზიის პირობების დარღვევისთვის მძღოლი ამ შემთხვევაშიც დაჯარიმდება. მონიტორინგს საპატრულო პოლიცია განახორციელებს, — განაცხადა მამუკა მუმლაძემ.

როგორც ცნობილია, 2019 წლის 1-ლი ოქტომბრიდან თბილისში ტაქსები, რომლებსაც შესაბამისი მანათობელი ნიშანი ექნებათ, თეთრი ფერის იქნება.

IPN.GE

# „ოცნება“ კორუმპირებული მტაცებლების ხროვად გადაიქცა“

## თორნიკე შარაშენიძე: „სალომე ზურაბიშვილის გაყვანა მათთვის კიდევ უფრო უარესი იქნება“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** აფასებს.

***– ბატონო თორნიკე, საკმაოდ დაძაბული ფონია ქვეყანაში. ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ „ქართულ ოცნებას“ ერთადერთი გამოსავალი რჩება, რაც შეიძლება მალე დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიო. რას იტყვით თქვენ? სადამდე მივა სიტუაცია?***

– თუ ასე გაგრძელდა, ვადამდელი შესაძლოა მათთვის გამოსავალიც იყოს, რადგან თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, 2020 წლამდე ვეღარც კი მიატანონ. ამ ფონზე ვადამდელი არჩევნებიც სერიოზული რისკია მათთვის.

ვადამდელს ის უპირატესობა აქვს, რომ ვერ მოესწრება ახალი ოპოზიციური პარტიების შექმნა და დარჩებიან ისევ ნაციონალების პირისპირ და ისევ იქნებიან იმის იმედად, რომ აი 9 წელი და ხალხი მაინც ხმას მოგვცემს ამ 9 წლის შიშით.

ან რა ჰგონიათ, ვთქვათ და მოიგონ ვადამდელი არჩევნები, ოთხი წელი კიდევ ასე დარჩებიან?!

***– ვერ დარჩებიან?***

– მართალი გითხრათ, მე გამოსწორების შანსს ვერ ვხედავ. ამდენი ხანი დრო ჰქონდათ, ვნახეთ, სადამდეც მიიყვანეს ქვეყანა და როგორ უნდა გამოსწორდნენ, რის ხარჯზე?! მე არ მესმის. მათი მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ ხდება ნორმალური განახლება „ოცნების“, ნიჭიერ, ნორმალურ ხალხს არ უხსნიან კარს და მართავენ ისე, როგორც, სამწუხაროდ, მათ იციან. რა ვქნათ, სხვანაირად არ იციან.

რაც ჩვენ ბოლო პერიოდში ვნახეთ, მე, უბრალოდ, ვერ წარმომედგინა. სხვას თუ წარმოედგინა, არ ვიცი.

***– ჩამოიშალა „ოცნების“ ხელისუფლება?***

– ნახავთ თქვენ, გამოვლენ და დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ეს ყველაფერი მონტაჟია, ჰა, ჰა, გავიცინეთ და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ისინი ბურანში არიან და ადეკვატური რეაგირების უნარი დაკარგული აქვთ. ეს არის უბედურება, რომ ქვეყანას მიაქანებენ უფსკრულისკენ, თორემ მათ რა, დიდი ფული იშოვეს და როგორმე თვითონ გადარჩებიან. ხომ ვნახეთ, რამხელა სახლები აქვთ აშენებული.

***– ანუ ვადამდელი არჩევნები თუ დაინიშნა, ეს ისევ „ოცნების“ გადასარჩენად იქნება?***

– ჰო, მაგრამ რამდენად გადაარჩენს, მე არ ვიცი! თუ არ დასხდნენ და რამე არ გაიაზრეს, რამდენად გაიაზრებენ, ეგეც არ ვიცი, მაგრამ თეორიული შანსი მაინც აქვთ, რომ დაირაზმონ და რამე შეცვალონ.

გამოვლენ და დაიწყებენ სხვაზე გადაბრალებას და ამას ბოლო არ უჩანს უკვე. ხალხმა ერთხელ დახუჭა თვალი, ორჯერ და რამდენჯერ?! ყველა მოთმინებას აქვს საზღვარი!

***– პოლიტიკური თვალსაზრისით სერიოზული გარდატეხა მოხდება ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ?***



– ესენი მაინც ეცდებიან, რომ ყველანაირი ხერხით გაათრიონ თავისი კანდიდატი და ვერ ხვდებიან იმას, რომ ეს გათრევა საბოლოო ჯამში მათთვის კიდევ უარესი იქნება, ვიდრე, ვთქვათ, ვაშაძის გამარჯვება. ვაშაძემ რომ გაიმარჯვოს, იმას მაინც იტყვიან, რომ დემოკრატია გვაქვს.

ყველაფერს გააკეთებენ საკუთარი კანდიდატის გასათრევად, ამისთვის დახარჯავენ ყველანაირ რესურსს და ეს დაუჯდებათ ძალიან ძვირი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ვინ დაიჯერებს იმას, რომ სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა სამართლიან არჩევნებში?! ვინ დაიჯერებს ან ქვეყნის შიგნით, ან ქვეყნის გარეთ?! მართლა ჩალით დახურული ხომ არ ჰგონიათ მთელი მსოფლიო. ეს ხომ სრული მარაზმი იქნება.

***– და რა მოჰყვება ამ ყველაფერს?***

– მოჰყვება ის, რომ ესენი 2020 წლამდე ვერ მიატანენ.

***– შესაძლოა, სიტუაცია სერიოზულად აირიოს?***

– დიახ. მე კი მინდა, რომ არჩევნები ჩატარდეს მშვიდად და ნორმალურად. გაიმარჯვოს იმან, ვისაც ხალხი მისცემს ხმას. მე ეს მინდა და ეს არის კარგი ქვეყნის განვითარებისთვის. თუ ასე გააგრძელა ამ ხელისუფლებამ, ჩვენ აქამდე ვერ მივალთ ელემენტარულად.

ხომ იცით, როგორც ემართება ხოლმე ხალხს, თანამდებობებზე მოსხდებიან, ფულს იშოვნიან და თავში აუვარდებათ ხოლმე. მაგათ ჰგონიათ, რომ სულ იქ იქნებიან. ვერ ხვდებიან და ვერ სწავლობენ ჭკუას სხვების შეცდომაზე.

***– წინა ხელისუფლებებს გულისხმობთ?***

– თუნდაც. ამ ქვეყანაში შევარდნაძის ლანძღვა ძალიან მოდაშია და ყველასგან მისი ლანძღვა-გინება გვესმის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ის მსოფლიო დონის პოლიტიკოსი იყო, გვინდა თუ არ გვინდა, ასე იყო. ყველა წიგნშია შესული.

შევარდნაძე მოირყა ბოლოში და ხალხმა წიხლებით გააგდო თავისი კაბინეტიდან და ამათ რისი იმედი აქვთ, საინტერესოა. რა უმაგრებთ ზურგს?! ვისი ავტორიტეტი უმაგრებთ ზურგს?! ვინ ჰყავთ ავტორიტეტული პოლიტიკოსი? პოლიტიკოსები დარჩნენ საერთოდ „ოცნების“ შემადგენლობაში?! თავი რომ დავანებოთ შევარდნაძისნაირ ფიგურას, უბრალოდ, პოლიტიკოსები არიან მათ შემადგენლობაში, ვინმე ნორმალური პოლიტიკური ფიგურა დარჩა?

ვხედავთ ისევ კობახიძეს, რომელიც მაღალფარდოვანი ტექსტებითა და დაყენებული ტონით ჭკუას გვარიგებს და ვინ უსმენს მათ საერთოდ?! და სწორედ ესაა ჩვენი უბედურება და ქვეყნისაც.

***– წინა ხელისუფლება სწორედ ამ ფარულმა ჩანაწერებმა ჩამოშალა და ეს კარგად ნაცადი ხერხი და აპრობირებული მეთოდია?***

– რატომაც არა, პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა. მით უმეტეს, შენ თუ გამოიყენე ეს, რატომ არ გამოიყენებენ შენ წინააღმდეგ?! იმედია, სხვას არ მოსთხოვენ პასუხს, ფარული ჩანაწერებით რატომ გვებრძვითო. ეს თვითონვე დაიწყეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მით უმეტეს, თუ ვერ გამოასწორებ იმას, რის გამოსასწორებლადაც მოხვედი ხელისუფლებაში.

გამოსწორების მაგივრად, ყველაფერი გაუარესებულია ქვეყანაში. ხომ დაგვპირდნენ, რომ მაჟორიტარულ არჩევნებს გააუქმებდნენ, როგორც კი მოვიდოდნენ ხელისუფლებაში. რატომ არ გაუქმდა? მეორე არჩევნები ჩატარდება მალე მაჟორიტარული, რომელიც ყოველთვის აწყობს მმართველ პარტიას. კომიკური დაპირებები იყო, რომლებიც საწყალმა ხალხმა დაიჯერა. კი, ბატონო, დენი სრული ტყუილი იყო და ამას მართლა ვერ გააიაფებდნენ, მაგრამ რა უნდა მაჟორიტარობის გაუქმებას?! ამას ხომ პოლიტიკური ნება უნდა.

***– სად დაუშვა შეცდომა ხელისუფლებამ, მართვის რა ეტაპზე და საერთოდ რატომ მიიღო ასეთი მახინჯი სახე „ოცნების“ მმართველობამ?***

– ეს დაიწყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ივანიშვილი ჩაეხსნა ქვეყნის მართვას 24 საათიან რეჟიმში. კი ბატონო, ბევრ რამეზე ისევ თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, ყველამ კარგად ვიცით, რომ ღარიბაშვილი და კვირიკაშვილი თავისით არ წასულან. ხომ ვნახეთ, წასვლა არ უნდოდათ საერთოდ. ჩაეხსნა ივანიშვილი და თავიდან ბოლომდე ყველა მიეცა ფულის კეთებას – „ოცნება“ იქცა უპრინციპო კორუმპირებული მტაცებლების ხროვად.

სამწუხაროდ, გამოჩნდა, რომ მათ ფულის კეთების მეტი არაფერი არ აინტერესებთ. აბა ვინ მოასწრებდა, ვინ იშოვიდა ყველაზე მეტს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. მე არ მახსოვს, წინა ხელისუფლებების დროს ვინმეს ამდენი სახლი შეეძინოს. შევარდნაძის დროს რამდენიმე მინისტრს ჰქონდა უზარმაზარი სახლები, იმის მერე ასეთი რამ არ მახსენდება.

***– სააკაშვილის ხელისუფლებიდან ასეთი რამ არ გახსენდებათ?***

– წინა ხელისუფლებას პრობლემების მეტი რა ჰქონდათ, მაგრამ ამხელა სახლები წამოეჭიმოთ, ეგეთი რაღაც არ მახსენდება. როგორც ჩანს, ჭკუა ჰყოფნიდათ იმდენი, რომ ამხელა სახლები არ წამოეჭიმათ. ამათ ამდენი ჭკუაც არ ჰყოფნით. ფული სააკაშვილის დროსაც იშოვეს ვიღაცეებმა, მაგრამ იმდენი ჭკუა ეყოთ, რომ კოშკები არ წამოეჭიმათ.

***– რა განწყობას ხედავთ მოსახლეობაში? ამ ყველაფერზე ელოდებით საზოგადოების რეაქციას?***

– რეაქცია ახლა თუ არ იქნება ისეთი მწვავე, ეს არ გაქრება, დაგროვდება და მერე თუ იფეთქებს, კიდევ უარესად იფეთქებს. მე სწორედ ამის მეშინია.

თუ „ოცნებას“ ჰგონია, რომ ხალხი გადაყლაპავს ამასაც და ზოგადად ყველაფერს, რასაც აჭმევენ, ეს ძალიან სახიფათო თავის მოტყუებაა. ფიალა როცა ივსება, მერე კატასტროფა ხდება ყოველთვის! შევარდნაძეს და სააკაშვილს ეყოთ იმის ჭკუა, რომ წასულიყვნენ წყნარად. ამათ ჯერჯერობით ვერ ვატყობ, რომ ამას ხვდებიან, რასაც მიხვდნენ შევარდნაძე და სააკაშვილი. აი, სწორედ ამის მეშინია.

# ნინო ლომჯარია: „მირზა სუბელიანმა ფარულ ჩანაწერთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ მოგვაწოდა“

– ჩვენი ინტერესის საგანი იყო, გვენახა მირზა სუბელიანის უსაფრთხოება რამდენად იყო დაცული. მან განგვიცხადა, რომ საფრთხეს არ გრძნობს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ განუცხადა, რომლის წარმომადგენელიც პროკურატურის ყოფილ მაღალჩინოსან მირზა სუბელიანთან იყო შესული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.




ლომჯარიას თქმით, სუბელიანის საკანში არის სათვალთვალო კამერები და ის დაკვირვების ქვეშაა.

– ჩემი წარმომადგენლები შეხვდნენ მირზა სუბელიანს. გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით მირზა სუბელიანმა არანაირი ინფორმაცია არ მოგვაწოდა და კომენტარი არ გააკეთა. არ ისურვა ამ თვალსაზრისით ჩვენთან თანამშრომლობა. ერთადერთი, რაზეც მან გამოხატა ჩვენი დახმარების სურვილი, ეს შეეხებოდა მისი შვილის უფლებების დაცვას ხორავას ქუჩის საქმის გარშემო. სხვა თვალსაზრისით, მას ჩვენ მიმართ რაიმე თხოვნა არ გაუკეთებია. ბევრ რამეს მისი ინტერესებიდან გამომდინარე არ ვიტყვი. მისი სურვილი იყო ამაზე რაიმე კომენტარი არ გაგვეკეთებინა. ის თვლის, რომ მისი ფაქტორიდან გამომდინარე მოხდა შვილთან დაკავშირებით ასეთი თავდასხმები. ამიტომ, ის თვლის, რომ მისი შვილის უფლებები იყო დარღვეული და აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველთან ჰქონდა მხოლოდ ეს თხოვნა, რომ მისი შვილის ინტერესები ყოფილიყო დაცული. თუ უფლებების დარღვევას ექნება ადგილი ან მოგვმართავს ნებისმიერი მხარე, ნებისმიერი მოქალაქე, რა თქმა უნდა, ჩვენ დავიცავთ მის უფლებებს. ამ კონკრეტულ ფაქტზე, სად მოხდა, როგორ მოხდა... ამასთან დაკავშირებით არ უსაუბრია. ჩვენი ინტერესის საგანი იყო, გვენახა მისი უსაფრთხოება რამდენად იყო დაცული. მან განგვიცხადა, რომ საფრთხეს არ გრძნობს. ის სათვალთვალო კამერის დაკვირვების ქვეშ არის საკანში, – განაცხადა ლომჯარიამ.

ლომჯარიას თქმით, მირზა სუბელიანს არ უსაუბრია, თუ ვის ინტერესში შეიძლება ყოფილიყო ჩანაწერების გაკეთება.

– მას არანაირი ვარაუდი არ გამოუთქვამს, ვის ინტერესში შეიძლება ყოფილიყო ამ ჩანაწერის გაკეთება, – აღნიშნა ლომჯარიამ.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა, სავარაუდოდ, ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული მირზა სუბელიანის ფარული აუდიო ჩანაწერი გაავრცელა.

ტელეკომანიის ინფორმაციით, ჩანაწერი გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გაკეთებული და მასთან ერთად საკანში „ქართული ოცნების“ დეპუტატი მესტიიდან, ვიქტორ ჯაფარიძე და ლტოლვილთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, გენერალური ინსპექციის ყოფილი თანამშრომელი დათო ცუხიშვილი იმყოფება.

ჩანაწერების მიხედვით, სავარაუდოდ, მირზა სუბელიანი საუბრობს, რომ ის საკუთარი ნებით ჩაჯდა ციხეში და გაურიგდა ხელისუფლებას, მაგრამ სუბელიანი უკმაყოფილებას გამოთქვამს მმართველი გუნდის დამოკიდებულებით და ამბობს, რომ ხელისუფლება ჯეროვნად ვერ აფასებს მის ერთგულებას.

ასევე, ჩანაწერში ნახსენები არიან ყოფილი მთავარი პროკურორები არჩილ კბილაშვილი და ირაკლი შოთაძე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. სუბელიანი ამბობს, რომ მას ეკა ბესელიასა და უდო-ს კომისიის ურთიერთობებზეც აქვს ინფორმაცია და ამ თემაზე დაკითხულიც იყო.

ასევე, ნახსენებია ვანო მერაბიშვილის საქმე და ხაზგასმულია, რომ ეს ყველაფერი ჩაწერილი და დაარქივებულია. ამასთან, ჩანაწერის მიხედვით, სავარაუდოდ, მირზა სუბელიანი აცხადებს, რომ ის წინასწარ არის შეთანხმებული ხელისუფლებასთან, როდის უნდა დადგეს მისი განაჩენი და რამდენი ხნით უნდა იჯდეს ციხეში – ერთი წელი პატიმრობა და ერთი წელი პირობითი მსჯავრი.

# დავით უსუფაშვილი: „პროკურატურის ასეთი არაფრისმთქმელი განცხადებები მხოლოდ ნავთს ასხამს ცეცხლზე“

– პროკურატურის ასეთი არაფრისმთქმელი განცხადებები მხოლოდ ნავთს ასხამს ცეცხლზე, – ასე გავრცელებულ ჩანაწერთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში გაკეთებულ განცხადებას პრეზიდენტობის კანდიდატი დავით უსუფაშვილი აფასებს.

– პროკურატურა გვეუბნება, რომ უკვე ჩაწერილი მასალა, ვიღაცამ პენიტენციალური სისტემის თანამშრომელს შანტაჟის მუქარით გადასცა გასავრცელებლად. მაგრამ ამ ტიპის გამავრცელებელი და მისი დაშანტაჟება ვის რაში სჭირდებოდა, ეს გაუგებარია!

და რაც მთავარია, ეს გავრცელების ჯაჭვი კი არ გვაინტერესებს, ვინ ვის, რა და როდის გადასცა, არამედ ის, სიმართლეს შეესაბამება თუ არა ის, რაზეც ამ ჩანაწერშია საუბარი?

ამიტომ, ყურადღების გადატანა ამ გავრცელების ტექნიკურ მხარეზე, ეს არის, ჩემი აზრით, პროკურატურის მცდელობა ცოტა დრო მოიგოს, რომ პოლიტიკურად დალაგდეს, „მესიჯ-ბოქს“ რომ ეძახიან ის და მერე გაყვენ ამ კონკრეტულ მიმართულებას.



დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლებისთვის ამაოა რჩევაც და რეკომენდაციაც, მე მაინც მინდა კიდევ ერთხელ ვურჩიო ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, ვისაც შერჩა საღი აზრი, გაიაზრონ, რომ იმ მასშტაბურ კრიზისს, რომელშიც თავად შეიყვანეს საკუთარი თავი, ამ ტიპის ეპიზოდური ნაბიჯებით და კონტრ შავი პიარით ვერაფერს დააკლებენ. საჭიროა სერიოზული პოზიტიური ინიციატივები, თუკი ამისი ძალა და მორალური შესაძლებლობა შერჩა ხელისუფლებას.

პროკურატურის ასეთი არაფეისმთქმელი განცხადებები კი, მხოლოდ ნავთს ასხამს ცეცხლზე, – აცხადებს უსუფაშვილი.

# ჯემალ გამახარია: „ბესარიონ აპლიას არავინ არაფერს ეკითხება“

## „რუსეთს მართლმადიდებლური სამყარო განხეთქილებისკენ მიჰყავს“

გულიკო ბალაძე



აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთს მართლმადიდებლურ სამყაროში საქმე ჩიხისკენ, კონფლიქტისა და განხეთქილებისკენ მიჰყავს.

ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის მეთაური ბესარიონ აპლია (რომელიც ადრე გვარად ფილია იყო) მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებამ გააღიზიანა და ის რუსული ეკლესიის დამცველად გამოვიდა.

– ამ კონფლიქტში აფხაზეთი მოსკოვს და პატრიარქ კირილს უჭერს მხარს. ჩვენ, აფხაზები, კირილზე ვსაუბრობთ, როგორც დიდ ბატონზე, მამასა და ქართული აგრესიისგან დამცველზე. ქართულ აგრესიას თან სდევდა სწორედ ასეთი უხეში დარღვევები. ჩვენ არ შეგვიძლია განათლება ქართულ ენაზე. ჩვენ ვიცავთ მართლმადიდებლობის სიმართლეს, სიმართლე კი რუსეთის მხარესაა, – აცხადებს აპლია.

***– ბატონო ჯემალ, ბესარიონ აპლიას საქმიანობა თქვენთვის ძალიან კარგადაა ცნობილი. აპლია აცხადებს, რომ აფხაზები რუსეთის პატრიარქ კირილზე საუბრობენ, როგორც დიდ ბატონზე, მამასა და ქართული აგრესიისაგან დამცველზე. რას ნიშნავს ეს?***

– აპლიას განცხადების სრულ ტექსტს რომ გაეცნობი ადამიანი, სერიოზული განსჯისა და სერიოზული კომენტარის გაკეთების ყოველგვარი სურვილი გეკარგება. მით უმეტეს, თუ არ ხარ ექიმი, ან ფსიქოლოგი. ექიმი და ფსიქოლოგი თუ ხარ, კიდევ შეიძლება ამ განცხადებაზე საუბარი.

***– ალბათ, დაავალეს ამგვარი განცხადების გაკეთება.***

– ვინ დაავალა, ვის რაში სჭირდება ამ საქმეში აპლიას განცხადება, რომელსაც სულ რამდენიმე მღვდელი ჰყავს და ვითომ ეკლესიის ხელმძღვანელად ასაღებს თავს. ის არის ყველაზე დიდი თვითმარქვია, რომელიც სხვას აკრიტიკებს და ბრიყვულ განცხადებებს აკეთებს. ამის იქით სერიოზული კომენტარის გაკეთება ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება.

თვითონ პრობლემა ძალიან სერიოზულია და სერიოზულადაა განსასჯელი.

***– სხვათა შორის, ამ მღვდელს ფოტო რუსეთის პატრიარქის (გადიდებული, ჩარჩოში ჩასმული და კედელზე ჩამოკიდებულია) სურათის ფონზე აქვს გადაღებული. როგორც ჩანს, აპლია მონაა ამ „დიდი ბატონისა“.***

– დიახ, ის სუფთა მონაა, რომელიც სრულიად დამოკიდებულია იმ ბატონზე. მისი დამოკიდებულება სუფთა მონური პოზიციაა, რაც ჩანს მის განცხადებაში. როგორც ცნობილია, აფხაზეთის ეს ხუთკაციანი სამღვდელოება კიდევ ორ ნაწილადაა გაყოფილი, ანუ „ორი ეკლესიაა“. მეორეს ხელმძღვანელია დოროთე დბარი, რომელიც პირიქით, მხარს უჭერს კონსტანტინეპოლს და ჰგონია, რომ ამის შემდეგ მისი ჯერი დადგება. ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებენ.

***– ეს აფხაზების, დბარისა და აპლიას შეთანხმების შედეგი ხომ არ არის, რომ ორივე მხარე ჰყავდეთ კმაყოფილი?***

– არ ვიცი, მათი დამოკიდებულება არის თუ არა გარკვეული შეთანხმების შედეგი, მაგრამ საერთოდ, სეპარატისტები მიზანთან დაკავშირებით ყოველთვის ერთიანი არიან. თუმცა, იმისათვის, რომ ფართო მხარდაჭერა ჰქონდეთ, ერთსაც ემხრობიან და მეორესაც. სეპარატისტულ მოძრაობაში თავის დროზე ნაწილი ბოლშევიკები იყვნენ, ნაწილი – თურქული ორიენტაციის. ასევე ნაწილი რუსულ ორიენტაციას ადგა, ნაწილი – ქართული ორიენტაციას, მაგრამ შემდეგ ყველა ერთად იკრიბებოდა. საერთოდ, სეპარატისტებს ასეთი უპრინციპობა ახასიათებთ.

მათ გამაერთიანებელი იდეა არ აქვთ. მათი მიზანია საქართველოსთვის ზიანის მიყენება. მათთვის არაფერს ნიშნავს ის, რომ დღეს აფხაზეთი ნადგურდება, მათ შორის, ეკლესიაც განადგურებულია და არავითარი მომავალი ამ ტერიტორიას არ აქვს. მიუხედავად ამისა, ჯგუფი ადამიანებისა მაინც სეპარატისტულ გზაზე დგას. ოღონდ საქართველოს ზიანი მიაყენონ, თვითონ მზად არიან, დაიღუპონ.

***– ამ განცხადებაში აპლია ამბობს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ერთია და წესები ყველასთვისაა განკუთვნილი. მაშინ რას მიუთითებს მათი ქმედებები, როდესაც ისინი ქართულ ეკლესიას განუდგნენ და მართლმადიდებლურ ტაძრებს ანადგურებენ?***

– როგორც ჩანს, წესები, რომლებიც მართლმადიდებლურ სამყაროში არსებობს, მხოლოდ აპლიასთვის არ არის განკუთვნილი. ბატონი, რომელსაც ის ასახელებს და რომლის პორტრეტი მას სამუშაო ოთახში უკიდია, აფხაზეთის ტერიტორიას ოფიციალურად ქართული ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიად აღიარებს. წესები ნამდვილად ერთია და თუ ეს ბატონი ამას აღიარებს, რატომ არ ემორჩილება ამ წესებს.

***– თქვენ კარგად იცით ისტორია, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები სოხუმის დაცემის შემდეგ, როგორ შეიჭრნენ ეკლესიებში და გამოდევნეს ქართველი მღვდლები. აპლიას, საერთოდ, რა უფლება აქვს მართლმადიდებლურ წესებზე ისაუბროს?***

– როცა ქრისტიანული (ქართული) მოსახლეობა აიძულეს, აფხაზეთი დაეტოვებინა, მაშინ დატოვა აფხაზეთი ქართველმა სამღვდელოებამაც თავის მრევლთან ერთად. გასაგები მიზეზების გამო, იქ ყოფნა შეუძლებელი იყო. სამღვდელოებასა და მრევლს უკან არ უშვებენ. დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით აპლია და დბარი არანაკლებ რადიკალები არიან, ვიდრე პოლიტიკოსები. ქართველი ქრისტიანები დევნილებად აქციეს. აფხაზეთის ქრისტიანული მოსახლეობის დაახლოებით 80-90% ქართველები ვიყავით.

იქ არსებული მოსახლეობა მთლიანად მართლმადიდებელი ხომ არ არის, იგივე სომხები ხომ არ არიან მართლმადიდებლები. კიდევ იყო მოსახლეობა, რომელიც მართლმადიდებელი არ გახლდათ. ქრისტიანული მოსახლეობა ვიყავით ჩვენ, ბერძნები და ძალიან მცირე ნაწილი აფხაზებისა. ბერძნების დიდი ნაწილი აფხაზეთიდან წავიდა, ქართველები გამოდევნეს. ვინ დარჩა აფხაზეთში მართლმადიდებელი და რომელი ეკლესია არსებობს მრევლისა და სამღვდელოების გარეშე, გაუგებარია. რომელი ავტოკეფალია უნდა აღდგეს მრევლისა და სამღვდელოების გარეშე? ასეთ აბსურდთან გვაქვს საქმე.

***– ისე, აპლიას წარმომავლობაც ძალიან საინტერესოა.***

– არ ვიცი, აპლიას წარმომავლობა რამდენად არის საინტერესო. ჩემთვის დიდად საინტერესო არ არის. აპლიას ნამდვილი გვარია ფილია. მერე გახდა აპლია. ის აფხაზი იყო ომამდეც და დღესაც აფხაზია. მისი წინაპრები ვინ იყვნენ, ნამდვილად არ ვიცი და არც არის საინტერესო.

***– ყოველ შემთხვევაში, ამ ადამიანებმა უფლება მისცეს რუსებს, რომ ქართული ეკლესიები გადაეღებათ, შეეთეთრებინათ. აპლია ნამდვილი მართლმადიდებელი რომ ყოფილიყო, როგორ შეიძლებოდა ეს დაეშვა?***

– მართალი ხართ, მართლმადიდებლობისა და სარწმუნოებისაგან ეს ადამიანები ძალიან შორს არიან. ამის შესახებ თავის დროზე ვამბობდი. როდესაც აფხაზები ჩრდილო კავკასიიდან მოვიდნენ საქართველოში მე-17 საუკუნეში და შემდეგ – მე-18-19 საუკუნეებში – მათ ეკლესია, საერთოდ, არ აინტერესებდათ. მაშინ აფხაზეთში ეკლესიები აბსოლუტურად დაცარიელებული იყო. გარდა სამურზაყანოსი, სადაც ილორი და ბედიაა, რომელმაც მე-18 საუკუნის ბოლოს შეწყვიტა ფუნქციონირება მაჰმადიანების მოძალების გამო. მათ ინტერესებში ეკლესია არანაირად არ შედიოდა, მაგრამ დღეს ისინი ეკლესიას ყურადღებას აქცევენ.

***– დღეს რატომ აქცევენ ყურადღებას?***

– მათი ყურადღება გამოწვეულია ვითომ დამოუკიდებლობის სურვილით. მათ დამოუკიდებლობა უნდათ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოფენილია უძველესი ქართული ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ტაძრებით. თავისი უფლება ამ ტერიტორიაზე რომ დაამტკიცონ (დანარჩენ მსოფლიოს რომ დაუმტკიცონ), აცხადებენ, უძველესი ქრისტიანები ვართ, ეს ეკლესიები ჩვენი წინაპრების აშენებულიაო და ა.შ. მაშინ, როდესაც არავითარი კავშირი აფხაზეთში არსებულ ტაძრებთან მათ არ აქვთ. ე.ი. მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდებათ აფხაზი სასულიერო პირები და აპლია მღვდლის სამოსელში.

სხვანაირად მათ საქციელში ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა არ არის. რამდენიმე მღვდლისაგან შემდგარი ორგანიზაცია შექმნეს, დაარქვეს ეკლესია და იძახიან, უძველესი ქრისტიანული ერი ვართო. მათ ქრისტიანობა პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდებათ და არა – მართლმადიდებლობისთვის. მათი ძირითადი სარწმუნოებაა კავკასიიდან ჩამოტანილი წარმართობა.

***– აპლია ამბობს, უკრაინისა და ქართულ ეკლესიებს თან სდევდა უხეში დარღვევები. აპლია ამბობს, ჩვენ არ შეგვიძლია განათლება ქართულ ენაზე, ჩვენ ვიცავთ მართლმადიდებლობის სიმართლეს, სიმართლე კი რუსეთის მხარესააო. როგორ არის რუსეთის მხარეს სიმართლე?***

– საერთოდ, მთელი ეს ფრაზეოლოგია აბსოლუტურად გაუგებარია. თქვენ რა გაიგეთ აქედან, გარდა იმისა, რომ ბოლოს ამბობს, სიმართლე რუსეთის მხარეს არისო. რომელ საკითხშია სიმართლე რუსეთის მხარეს? უკრაინის საკითხში თუ რომელ საკითხში, საინტერესოა.

***– აპლიას მიაჩნია, რომ საქართველოს შემთხვევაშიც და უკრაინის ეკლესიის შემთხვევაშიც სიმართლე რუსეთის მხარესაა. თქვენ კარგად იცით უკრაინის ეკლესიის ისტორია. უკრაინის ეკლესია სცოდავს რუსეთის ეკლესიასთან?***

– ახლახან გაკეთდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის ეკლესიას თავისი ავტოკეფალიის დადასტურება კონსტანტინეპოლისაგან არ გააჩნია. ასე რომ, რუსეთის ეკლესიას არ აქვს უფლება მიანიჭოს, ან არ მიანიჭოს უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალია. რუსეთის საპატრიარქოს ავტოკეფალიის დადასტურების არარსებობის თაობაზე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს განცხადება ძალიან მნიშვნელოვანია.

***– ეს რას ნიშნავს?***

– იმას, რასაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელი ამბობს, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან რუსეთის საპატრიარქოს ავტოკეფალია დადასტურებული არ აქვს. სჯობს რუსებმა ამაზე იფიქრონ, ვიდრე იმ პროვოკაციებზე, რითაც ცდილობენ განხეთქილების შეტანას მართლმადიდებლურ სამყაროში. რუსეთს, სამწუხაროდ, პრობლემები მართლმადიდებლურ და ქრისტიანულ სამყაროსთან აქვს. ამაში ახალი არაფერია.

***– რუსეთს მესამე რომი უნდოდა გამხდარიყო და ისიც ეცლება ხელიდან, რაც აქვს.***

– ძალიან რთული საკითხია. რუსეთის ეკლესია ართულებს საქმეს. ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ სამყაროში დიდი კონფლიქტი სასურველი არ არის, მაგრამ რუსეთს, სამწუხაროდ, საქმე ჩიხისკენ, კონფლიქტისა და განხეთქილებისკენ მიჰყავს.

თუ ვინმეს ეკუთვნის ავტოკეფალია მსოფლიოში, ეს არის უკრაინის ეკლესია. იყო პერიოდი, როდესაც რუსეთის ტერიტორია უკრაინის სამიტროპოლიტოს ექვემდებარებოდა. ამიტომ ვის ეკუთვნის და ვის არა ავტოკეფალია, ეს საკითხი მოხსნილია. არავინ ამბობს, რომ რუსეთს ავტოკეფალია არ ეკუთვნის, მაგრამ რატომ არ ეკუთვნის ავტოკეფალია უკრაინას, გაუგებარია. აპლიას კი არავინ არაფერს ეკითხება.

***– რუსეთს, ალბათ, ვერ მოუნელებია, ოდესღაც კიევის რუსეთად რომ იწოდებოდა და რუსეთის ეკლესიაც კიევის ეკლესიას ექვემდებარებოდა.***

– დიახ, ნამდვილად ასეა.

# „ენგურჰესის გაჩერების შემდეგ ვეღარ დაგეხმარებით“

## რუსი ჩინოსნები და ბიზნესმენები ოკუპირებულ აფხაზეთს პრეტენზიებს უყენებენ

მარიამ მჭედლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებული აფხაზეთი სანახევროდ რუსეთის ფედერაციიდან ფინანსდება და მოქმედებს საინვესტიციო პროექტები, რეგიონის ეკონომიკას აღმშენებლობის არაფერი ეტყობა. ბოლო წლებში შეინიშნება მოსახლეობის გაღატაკება და ერთი კორუმპირებული ჯგუფის გამდიდრება.

აფხაზეთში არსებულ პრობლემებს გარკვეული დოზით რუსეთის წარმომადგენლებიც აღიარებენ. აფხაზეთში ეკონომიკურ ფორუმზე ჩასული რუსი ჩინოსნები და ბიზნესმენები ოკუპირებულ აფხაზეთს თავის პრეტენზიებს უყენებენ. ადრე ჩრდილოელი პატრონის საყვედურები ძირითადად აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის შეზღუდვას ეხებოდა. ამჯერად შენიშვნები უფრო ფართოა.

რუსეთის საქმიანი წრეების განცხადებებით, აფხაზეთში არ არსებობს საკრედიტო სახსრების დაბრუნების, ასევე ინვესტორების თანხებისა და ქონების გარანტია. არ შემუშავებულა ნორმატიული ბაზა, რომელიც ჩამოსულ ინვესტორებს აფხაზი ჩინოსნებისაგან დაიცავს. აფხაზეთში არავინაა დაზღვეული დამატებითი და მოულოდნელი გადასახადებისგან. ფინანსური საქმიანობა აფხაზეთში საბჭოთა დროინდელი კანონებით რეგულირდება.

რუსეთის წარმომადგენლებმა აფხაზ „ძმებს“ გაახსენეს, რომ რუსეთმა ძალიან ბევრი გააკეთა აფხაზეთის ეკონომიკისათვის. მათ შორის, გარემონტებულია დაახლოებით 200 კილომეტრის გზები, კაპიტალურად შეკეთდა 100 ობიექტზე მეტი შენობა. ხდება მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება. სულ ბოლო წლებში აფხაზეთს გადმოერიცხა 44 მილიარდი რუბლის დახმარება.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიმართ მკაცრი იყო ოკუპანტი სახელმწიფოს ჩრდილოეთ კავკასიის საქმეთა მინისტრის მოადგილე იგორ კოშინი.

მისი თქმით, საინვესტიციო პროგრამების სახსრების ხარჯვის ამსახველი ციფრები არასახარბიელოა:

– დღეს ეს ციფრები პესიმისტურად გამოიყურება. ისინი ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე სამხრეთ ოსეთში.

რუსი ჩინოსნის სიტყვებით, აფხაზეთში ჯერ ისევ ალსადგენია ინფრასტრუქტურა:

– სახეზეა სახსრების არაეფექტური გამოყენება. მოსაწესრიგებელია ენერგეტიკა, ტრანსპორტი. როგორ უნდა აშენდეს სასტუმრო, თუ წყალი არ არის, ან კონდიციონერი გარკვეულ საათებში მუშაობს?



მისი თქმით, რესპუბლიკის წარმომადგენლები ამაყობენ, რომ ენერგეტიკაზე დაიხარჯა 770 მილიონი რუბლი. ამასთან, ხმას არ იღებენ დანაკარგებზე გამანაწილებელ ქსელში და საფასურის ამოღების ცუდ მაჩვენებელზე.

კოშინის სიტყვებით, 2020 წელს დაგეგმილია ენგურჰესის სარემონტო სამუშაოების დაწყება.

– საიდან მიიღებთ ელექტროენერგიას? რუსეთი დაგეხმარებათ, მაგრამ გადამცემ ხაზებზე დანაკარგების გამო საჭირო დენის მთელი მოცულობის გადმოქაჩვა შეუძლებელი იქნება. ამაზე დღესვე უნდა იფიქროთ, – მიმართა აფხაზებს მინისტრის მოადგილემ.

კოშინმა ადგილობრივებს ფაროსანასთან ბრძოლაში რუსეთის წვლილი გაახსენა და მოითხოვა, რომ ხალხი აქტიურად ჩაერთოს მავნებლის მექანიკურ მოგროვებაში. მისი თქმით, აფხაზეთში არ ესმით, რომ ეს აუცილებელია.

ფაროსანას კილოგრამობით შეგროვება რუსეთის აგრარული სფეროს სპეციალისტებმა აფხაზეთის მოსახლეობას პირველად გაზაფხულზე ურჩიეს. ამ საქმიანობისათვის ფულადი ჯილდოც დაწესდა. ხალხმა გამოსაზამთრებლად დაბინავებული ფაროსანას შეგროვება დაიწყო. ხელით მოგროვილი ფაროსანა რუსეთში სამეცნიერო კვლევის საბაბით წაიღეს, რომ მისი საწინააღმდეგო ეფექტური წამალი გამოეგონებინათ.

დღეისათვის რუსეთმა ვერც ფაროსანა დაამარცხა და ვერც აფხაზეთის ეკონომიკას უწამლა. სოხუმში გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთი ამ რეგიონს დაფინანსებას შეუმცირებს და რუსი ინვესტორებისთვის სრულ თავისუფლებას უფრო ხისტად მოითხოვს.

# საგანგებო დავალებათა ყოფილი ელჩი ესტონელ ბიზნესმენს ღირსების შელახვისთვის უჩივის

ესტონელი ბიზნესმენის, ოლეგ ოსინოვსკის ბრალდებებს პასუხობს საგანგებო დავალებათა ყოფილი ელჩი, რუსლან აბაშიძე.

ყოფილი ბიზნესპარტნიორი ოსინოვსკის სასამართლოში ღირსების შელახვისთვის უჩივის და პროკურატურას ოლეგ ოსინივსკის საქმიანობით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

მათი მტკიცებით, ესტონელი ბიზნესმენი საქართველოში ფულს ათეთრებს. მისი მისამართით გაჟღერებული ბრალდებები კი პოლიტიკურ სარჩულს ატარებს.

რუსლან აბაშიძე ამბობს, რომ მასზე თავდასხმა ოსინოვსკიმ მას შემდეგ განახორციელა, რაც მან სალომე ზურაბიშვილს 65 ათასი ლარი შესწირა.




— ეს არის პოლიტიკური ელფერის განცხადებები და ზოგადად, ოსინივსკი ცდილობს, რომ ის პრობლემები, რაც მას უკავშირდება, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ასევე სამომავლოდ, იმედი მაქვს, რომ დაინტერესდება ჩვენი სახელმწიფო მაგის საქმიანობით საქართველოში, რომ ამით გადაფაროს გარკვეული თავისი პრობლემები, — განაცხადა რუსლან აბაშიძემ.

ადვოკატი დიმიტრი გაბუნია საქართველოს პროკურატურას საქმის დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

— ეს არის პოლიტიკური ელფერის ძალიან ცუდად შეფუთული განცხადება, რომელსაც ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ საკმაოდ დიდი და ღრმა ფესვები შეიძლება ჰქონდეს და აქვე, აპრიორი კატეგორიულად ვემიჯნებით მოცემულ განცხადებას და ამ განცხადების გამო ჩვენ ოლეგ ოსინოვსკის მოვთხოვთ პასუხს შესაბამის ორგანოებში.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს პროკურატურას, რომ დაინტერესდეს ოლეგ ოსინოვსკის მიერ განხორციელებული ინვესტიციებით. მე პირადად ვვარაუდობ, როგორც ადვოკატი, შესწავლილი საქმის მასალების შედეგად, რომ ადგილი აქვს შავი ფულის გათეთრებას, უკანონო თანხების მოზიდვას, — განაცხადა დიმიტრი გაბუნიამ.

# „მირზა სუბელიანის შეხვედრების ფარული ჩანაწერების გავრცელება მოქალაქე ი.პ.-ს მოსთხოვეს“

## პროკურატურის განცხადება სკანდალურ ჩანაწერზე



14 ოქტომბერს რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა სკანდალური სიუჟეტი, რომელშიც პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი მირზა სუბელიანი ფიგურირებს.

გუშინ, 15 ოქტომბერს, ამ ფაქტზე მთავარ პროკურატურაში განმარტება გაკეთდა.

„საქართველოს მთავარი პროკურატურა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ აუდიოჩანაწერზე, რომელშიც სავარაუდოდ ფიგურირებენ მ.ს., ვ.ჯ. და დ.ც, საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო 2018 წლის 12 ოქტომბერს, ვიდრე ჩანაწერი ერთ-ერთი მედიასაშუალების ეთერში გადაიცემოდა.

გამოძიება ამ ეტაპზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის, იძულების, პატიმრობაში მყოფი პირის კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის, ჩანაწერის უკანონოდ შენახვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1571-ე მუხლის პირველი ნაწილით, 158-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე გამოძიება დაიწყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის ი.პ.-ს განცხადების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, მასზე განხორციელდა შანტაჟი და ზეწოლა: პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროების მუქარით მოქალაქე ი.პ.-ს მოსთხოვეს პატიმარ მ.ს-ს შეხვედრების ფარული ჩანაწერების გავრცელება.

გამოძიების ფარგლებში, ი.პ-სგან ამოღებულია მეხსიერების ბარათი, რომელიც შეიცავს რამდენიმე ფარულ ჩანაწერს, მათ შორის იმ ფაილსაც, რომელიც გუშინ გავრცელდა მედიასაშუალებით. ყველა ჩანაწერზე ავთენტიკურობის დადგენის მიზნით ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზები.

დაწყებული გამოძიების ფარგლებში ტარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, როგორც ამ დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირის გამოსავლენად, აგრეთვე მედიასაშუალებით გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერში გახმოვანებულ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით.

იმავდროულად, ამოღებული აუდიოჩანაწერების პირველად ანალიზზე დაყრდნობით, გამოძიება ინტენსიურად განიხილავს პირთა ჯგუფის მიერ კონკრეტული შინაარსის საუბრების ორგანიზების ვერსიას მათი შემდგომი გავრცელების მიზნით.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურატურა ამ ეტაპზე არ ასაჯაროებს გამოძიების პროცესში მოპოვებულ ყველა აუდიოჩანაწერს. თუმცა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, პროკურატურა ინტენსიურად მოახდენს საზოგადოების ინფორმირებას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ“, — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

# „თქვენი დედა მოვ...ნ“ — ბორის კაკუბავამ ჟურნალისტებს შეაგინა

## დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე პროკურატურაში დაკითხეს



გუშინ, 15 ოქტომბერს, მირზა სუბელიანის ჩანაწერის ერთ-ერთი მონაწილე, დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე, მთავარ პროკურატურაში დაკითხეს.

დაკითხვამდე, გუშინ დილით, მან რუსთავი 2-თან მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა მირზა სუბელიანთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვიზიტი.

ჯაფარიძე ამბობს, რომ მირზა სუბელიანი ნამდვილად ასახელებდა ფაქტებს, რომლებიც წესით უნდა გამხდარიყო გამოძიების დაწყების მიზეზი და რასაც უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაც.

ჯაფარიძის თქმით, ის სუბელიანს საპატიმროში მას შემდეგ შეხვდა, რაც შეხვედრის თხოვნით პატიმრობაში მყოფმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა თავად მიმართა.

აუდიოჩანაწერში ისმის, რომ სუბელიანი სთხოვს დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძეს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასთან შეხვედრას და თან აბარებს, რა უნდა უთხრას დეპუტატმა გახარიას.

სუბელიანი ვიქტორ ჯაფარიძეს ხორავას ქუჩის საქმის გარდა, სხვა გახმაურებული საქმეების შესახებაც უყვება და ამბობს, რომ ხელისუფლებას ამ საქმეების „მოგვარებაში“ ეხმარებოდა.

გუშინვე მთავარ პროკურატურასთან, მაშინ როდესაც დეპუტატის დაკითხვა მიმდინარეობდა, მივიდა მირზა სუბელიანის სიმამრი, ბორის კაკუბავა.

მან ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთების ნაცვლად, მედიის წარმომადგენლებს შეაგინა.

„თქვენი დედა მოვ ნ წადით ახლა აქედან,“ — მიმართა ბორის კაკუბავამ ჟურნალისტებს.

ბორის კაკუბავას საქმის ახალ დეტალებზე არ უსაუბრია. მას ასევე არ უთქვამს, იცოდა თუ არა იმ დანაშაულებრივი სქემის შესახებ, რომლის შესახებაც მირზა სუბელიანი აუდიოჩანაწერში საუბრობს.

დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის გამოკითხვა საღამოს დასრულდა.

გამოკითხვიდან გამოსულმა ჯაფარიძემ მედიასთან განაცხადა, რომ გამომძიებლები დაინტერესდნენ იმით, შეხვდა თუ არა ის მირზა სუბელიანს გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ჯაფარიძემ შეხვედრა ჟურნალისტებთანაც დაადასტურა, თუმცა სხვა დეტალებზე აღარ უსაუბრია.

# ხობში ოპელი ხეს შეეჯახა და დაიწვა



ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ფოთში მსუბუქი ავტომანქანა დაიწვა. ოპელის მარკის ავტომანქანა ხეს შეეჯახა და ცეცხლი გაუჩნდა.

მძღოლი, რომელიც ავტომობილს მართავდა, სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ფოთის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

32 წლის მამაკაცს შესაბამისი გამოკვლევები ჩაუტარდა. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა სტაბილურია. საქმეზე დაწყებულია გამოძიება, ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზს გამოძიება დაადგენს.

# ვანო მერაბიშვილი: „მარგველაშვილმა იცის, რომ ჩემი გათავისუფლება მისთვის ძალიან სარისკოა“

— მშვენივრად იცის მარგველაშვილმა, რომ ჩემი გათავისუფლება მისთვის ძალიან სარისკოა, — ამის შესახებ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სთვის მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, არ სურს, რომ მის გამო ვინმემ საკუთარი თავი საფრთხეში ჩაიყენოს.

— მე როგორც ვიცი, ფორმალურად პრეზიდენტს რომ სურვილი ჰქონოდა შეწყალების, ამის პრობლემა არ ჰქონდა. მე ვერ წარმომიდგენია და არც ვთვლი, რომ ვიღაც ადამიანები უნდა დავაყენო ასეთი დარტყმის ქვეშ. მშვენივრად იცის მარგველაშვილმა, რომ ჩემი გათავისუფლება მისთვის ძალიან სარისკოა. საერთოდ მე არ მიყვარს ადამიანების დაყენება დარტყმის ქვეშ ჩემს გამო, — განაცხადა მერაბიშვილმა.

ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ მას სამართლიანი სასამართლოს იმედი არ ჰქონდა, თუმცა ის არსად წასვლას არ აპირებდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

— მე მშვენივრად ვიცოდი, ადამიანები ჩემთან მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ჩემ წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად დაჰყავდათ. როგორც ეს ხელისუფლება იქცეოდა, აშკარა იყო, რომ სამართლიან სასამართლოზე საუბარი ზედმეტი იყო. მე, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლეში, მაგრამ მთავარი მაინც იყო პრინციპი. ეს ჩემი თავისთვის და ჩემი სიამაყისთვის გავაკეთე. ამავე დროს, მე არ მინდოდა, რომ ჩემ გამო ჩემი მეგობრები უფრო დიდი წნეხის ქვეშ მოქცეულიყვნენ, —



განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ყალბი ასდოლარიანების შენახვა-გასაღებისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის შენახვა – გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებულია 61.700 აშშ დოლარის ოდენობის 617 ერთეული ყალბი ასდოლარიანი კუპიურა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

# ერაყში სასმელი წყლით 111 ათასი ადამიანი მოიწამლა



ერაყში, ბასრას პროვინციაში, სასმელი წყლით 111 ათასი ადამიანი მოიწამლა. ამის შესახებ ქალაქ ბასრაში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საკითხებში გაერო-ს უმაღლესი კომისრის ოფისის დირექტორმა მაჰდი ატ-თამიმიმ განაცხადა.

– ჩვენი ინფორმაციით, მოწამლულთა რიცხვი 111 ათასს აღწევს, მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც არიან, – განაცხადა ატ-თამიმიმ.

მისივე თქმით, გაერო-ს უმაღლესი კომისრის ოფისი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისგან ამ საკითხზე განმარტებებს ითხოვს.

# აშშ საუდის არაბეთს იარაღს ისევ მიაწვდის



აშშ საუდის არაბეთისთვის იარაღის მიწოდებას გააგრძელებს. ამის თაობაზე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა.

– ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ საუდის არაბეთს იარაღის მიწოდება შევუწყვიტოთ! – თქვა ამერიკის პრეზიდენტმა.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრი მნუჩინი, თავის მხრივ, საუდის არაბეთში დაგეგმილ კონფერენციაზე ჩასვლას გეგმავს. ამის თაობაზე თეთრი სახლი იუწყება.

ამ გადაწყვეტილებამ აშშ-ის კონგრესმენთა კრიტიკა გამოიწვია. კონგრესმენები მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტ ჰაშოგის გაუჩინარების შემდეგ საუდის არაბეთში ჩასვლა გაუმართლებელია.

# ფსბ-ს მისაღებს კვერცხები და ფაიერები დაუშინეს



ფსბ-ს მისაღებს კვერცხები და ფაიერები დაუშინეს. ოპერმუშაკებმა ამის ჩამდენები უმალ დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი ყაზახეთის მოქალაქე აღმოჩნდა, მეორე – მოსკოველი მოზარდი.

ორივე დაკავებულს ადმინისტრაციული სასჯელი მოელის.

# ტრამპი: „რუსეთის მიმართ ისევ ხისტი პოლიტიკა მექნება“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ ხისტი იყო და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

პრეზიდენტმა გაოცება გამოთქვა მისი ოპონენტების ბრალდებაზე, რომ მას პუტინთან გარიგება სურს.

– ჩემსავით ხისტი რუსების მიმართ არც ერთი ჩემი წინამორბედი არ ყოფილა. მე გავაძლიერე მოსკოვის მიმართ დაწესებული სანქციები, მივაწოდე უკრაინას ლეტალური იარაღი. ეს მომავალშიც გაგრძელდება, – ამბობს ტრამპი.

ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტმა უარი განაცხადა, პირდაპირ დაედანაშაულებინა პუტინი მკვლელობებში.

– არ გამოვრიცხავ, რომ პუტინი მკვლელობებშია გარეული, თუმცა პირდაპირი სამხილი არ არსებობს, – თქვა ტრამპმა.

# საფრანგეთში წყალდიდობის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა



სამხრეთ საფრანგეთში ოდის დეპარტამენტში წყალდიდობის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა.

გარდა ამისა, მძიმედ დაშავებულია 5 ადამიანი, 1 კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.

ოდის დეპარტამენტის პრეფექტურაში ასევე განაცხადეს, რომ პეზანის კომუნიდან 1.000 ადამიანია ევაკუირებული დამბის გარღვევის რისკის გამო.

ასევე ოდისა და ეროს დეპარტამენტებში დაახლოებით 8.000 ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

სტიქიის შედეგების ლიკვიდირებაში ასობით მაშველი და ჟანდარმი მონაწილეობს.

# რუსეთის პატრიარქი მინსკში ჩავიდა



რუსეთის პატრიარქი კირილი მინსკში ჩავიდა. აეროპორტში მას ბელორუსის ეგზარჰატის წარმომადგენლები და ბელორუსის მთავრობის წევრები დახვდნენ. მათ მოსკოველ სტუმარს პური და მარილი მიართვეს.

მინსკში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდი გაიმართება. განხილვის ძირითადი თემა უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალია და ამ მოვლენისადმი რუსეთის საპატრიარქოს დამოკიდებულება იქნება.

– ბელორუსში ყველას ესმის, რომ ეკლესიაში ეროვნება არ უნდა არსებობდეს. ყველანი ქრისტიანები და მართლმადიდებლები ვართ. სამწუხაროდ, უკრაინაში ამას ვერ ვხედავთ, – ამბობს კირილი.

მოსკოვის პატრიარქმა თქვა, რომ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალია უდიდესი ცოდვაა.

– ეკლესია ხალხებს უნდა აერთიანებდეს! ვისაც ეს არ, ან ვერ გაუგია, ის მართლმადიდებელი არ არის! – განაცხადა კირილმა.

# სანქტ-პეტერბურგში ტრამვაის ესროლეს




სანქტ-პეტერბურგში ტერაქტი მოხდა. ბუქარესტის ქუჩაზე მანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს ტრამვაის. დაიჭრა 1 ქალი.

ტერორისტებმა მიმალვა შეძლეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# მეგან მარკლი დაფეხმძიმდა



სასექსის ჰერცოგინია და ბრიტანეთის პრონცის ჰარის მეუღლე მეგან მარკლი ფეხმძიმედაა. ამ ინფორმაციას კენსინგტონის სასახლე ტვიტერში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

– მისი სამეფო უდიდებულესობა მოხარულია გაცნობოთ, რომ სასექსის ჰერცოგინია ფეხმძიმედაა და ბავშვის დაბადებას 2019 წლის გაზაფხულზე ელოდება. ისინი მეტად აფასებენ იმ მხარდაჭერას, რომელსაც ადამიანები მთელ მსოფლიოში გამოხატავენ მათი დაქორწინების დღიდან და მეტად მოხარულებია არიან ამ ახალი სასიხარულო ამბის მათთვის გაზიარებით, – ნათქვამია სამეფო სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ დედოფალი ელისაბედ II, მისი მეუღლე ფილიპი, ედინბურგის ჰერცოგი, უელსის პრინცი ჩარლზი, მისი მეუღლე კამილა, კორნუოლის ჰერცოგინია, და პრინცი უილიამი და მისი მეუღლე კეიტი, კემბრიჯის ჰერცოგინია, ამ მოვლენის გამო საკუთარ სიხარულს გამოხატავენ და მომავალ მშობლებს პირადად მიულოცეს პრინცესა ევგენიას ქორწილში, რომელიც პარასკევს შედგა.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეგან მარკლის დედა დორია რეგლანდი სიხარულით და მოუთმენლად ელის პირველი შვილიშვილის დაბადებას.

# ქარიშხალმა ჩანჩქერი შეატრიალა



შოტლანდიის მკვიდრმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ შეატრიალა ჩანჩქერი ქარიშხალმა „კალუმმა“, რომელიც დიდ ბრიტანეთს თავს დაატყდა და აიძულა რომ საპირისპირო მიმართულებით ედინა. ქარიშხალი წყლის ნაკადს ზევით იტაცებდა. უჩვეულო ბუნებრივ მოვლენას დასავლეთ შოტლანდიის კუნძულ სკაიზე ადევნებდნენ თვალს.

ქარიშხალმა „კალუმმა“ ბრიტანეთს კოკისპირული წვიმები და ძლიერი ქარი მოუტანა, რომლის სისწრაფე საათში 112 კილომეტრს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ ეს უკვე მესამე ქარიშხალია, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს სექტემბრის დასაწყისიდან დაატყდა თავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# კიდევ ერთი ვერცხლი არგენტინიდან



ბუენოს აირესში, ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე დასრულდა მოჭიდავეთა ტურნირი. ბოლო დღეს საქართველოს გუნდს ვერცხლის მედალი მოუტანა თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გეგელაშვილმა (48 კგ. ჩვენი ფალავანი 2 მეტოქეს იოლად გაუმკლავდა – კოლუმბიელ არმანდო ზულუაგა კუევასს 12:1მოუგო, ნაურუელ დიზიელ დეტუდამოს კი 25 წამში 10:0 აჯობა.

ფინალში გეგელაშვილი უზბეკ უმიჯონ ჯალოლოვს შეხვდა, 2:8 დამარცხდა და ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

არგენტინაში სულ სამმა ქართველმა მოჭიდავემ იასპარეზა და სამივემ მედალი აიღო: გეგელაშვილის მსგავსად, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა გიორგი თოხაძე, გიორგი ჩხიკვაძემ კი საქართველოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური ოქრო მოუტანა.

დღეისათვის ჩვენი გუნდის ანგარიშზეა 6 მედალი: 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. გარდა მოჭიდავეებისა, ოლიმპიადის პრიზიორები გახდნენ ძიუდოისტი ილია სულამანიძე (ვერცხლი), ძალოსანი არჩილ მალაყმაძე (ვერცხლი) და ტყვიის მსროლელი ნინო ხუციბერიძე (ბრინჯაო).

საერთაშორისო შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში უნგრელ მიშელე გულიასთან – ამ თამაშების ბრინჯაოს პრიზიორთან ერთად გამოვა თანამედროვე ხუთჭიდელი გაგა ხიჯაკაძე, რომელმაც ინდივიდუალურ ტურნირში 1.047 ქულით მე-19 ადგილი დაიკავა.

# სეზონს დუდუ დადიანის თასი გახსნის




საკალათბურთო სეზონი 16 ოქტომბერს დუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნება. ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ხსოვნის ტურნირი 2002 წლიდან იმართება და წლეულს ის მე-16 გათამაშდება. ტურნირში სუპერლიგის ათივე წარმომადგენელი იასპარეზებს, რომლებიც 2 ჯგუფში, გასული სეზონის სუპერლიგაში დაკავებული ადგილების გათვალისწინებით გადანაწილდნენ:

**ა ჯგუფი:** დინამო, რუსთავი, ბათუმი, თსუ-ჰიუნდაი, მარნეული;

**ბ ჯგუფი:** ქუთაისი, მგზავრები, კაკტუსი, ოლიმპი, ტიტები-შსს აკადემია;

გუნდები ჯგუფში ერთ წრედ ითამაშებენ. ჯგუფური ეტაპის მატჩები თბილისის ოლიმპიურ სასახლეში 16, 17, 18, 19 და 20 ოქტომბერს გაიმართება. ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები ფინალში გავლენ და დუდუ დადიანის მემორიალის სატიტულო მატჩს 22 ოქტომბერს, 18:00 საათზე ითამაშებენ.

დუდუ დადიანის თასის მოქმედი მფლობელი დინამოა, რომელმაც შარშანდელ ფინალში ოლიმპი 67:48 დაამარცხა.

# ქართველთა გუნდების მორიგი გამარჯვებები

ესპანეთის ჩემპიონატის მე-4 ტურში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ იოლი გამარჯვება მოიპოვა. ბასკურმა კლუბმა სტუმრად ფუენლაბრადა 50 ქულით – 110:60 გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ მესამე ყველაზე დიდსხვაობიანი გამარჯვება ესპანეთის ჩემპიონატის ისტორიაში.

პირველი პერიოდი ბასკონიელებმა 31:7 მოიგეს, ხოლო მეორე – 32:17. მატჩის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყდა, რაც გახდა კიდეც გუნდის ლიდერების დასვენების მიზეზი. თორნიკე შენგელია მოედანზე 19 წუთით გამოჩნდა და 9 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. ქართველმა ფორვარდმა 2 ორქულიანი ააცილა, ხოლო 4 სამიანიდან 3 ჩააგდო.

მხოლოდ სამქულიანებით შემოიფარგლა მეტ ჯენინგსიც, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვს და გასულ მატჩებში ჩვენი ეროვნული გუნდის ღირსება დაიცვა. ჯენინგმა 8-დან 4 სამიანი მიითვალა, 1 ორიანი კი ააცილა.

4 ტურის შემდეგ ბასკონიას 3 მოგება აქვს და მე-3 ადგილზე იმყოფება. მომდევნო ტურში შენგელიას გუნდი მურსიას უმასპინძლებს.

გიორგი შერმადინმა მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. უნიკახას ქართველმა ცენტრმა ესპანეთის მორიგ ტურში 17 ქულა მიითვალა და მალაგელებს მძლავრი მეტოქე – გრან კანარია დაამარცხებინა. სწორედ კანარის კუნძულების გუნდია, გასულ სეზონში მოწინავე ადგილზე გასვლით უნიკახას ევროლიგის საგზური რომ წაართვა. ამჯერად მალაგელებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს – 89:76 სძლიეს და ლიგის ლიდერებში გაერივნენ.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 24 წუთი გაატარა. გიორგიმ 10-დან 7 ორქულიანი და 3-დან სამივე საჯარიმო ჩააგდო. 17 ქულასთან ერთად შერმადინს 5 მოხსნა და 2 ჩაჭრა ჰქონდა. ქართველი ცენტრის სარგებლიანობის ინდექსმა 21 შეადგინა და ის ამ მაჩვენებლით მხოლოდ ხაიმე ფერნანდესს (24) ჩამორჩა, რომელმაც 22 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა.




ისევე, როგორც თორნიკე შენგელიას, მეტ ჯენინგის (ბასკონია) და თად მაკფადენის (იბეროსტარი) გუნდებს, შერმადინის უნიკახასაც 3 მოგების წილ 1 მარცხი აქვს. ეს 3 გუნდი ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში დაუმარცხებელი რეალისა და ბარსელონას შემდეგ 3-5 ადგილებს იყოფენ.

უნიკახას მომდევნო მეტოქე მანრესა იქნება, რომელსაც შერმადინის გუნდი სტუმრად შეხვდება.

მაკფადენი ვახსენეთ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ამერიკელმა წევრმა ესპანეთის უმაღლეს ლიგაში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. მან თავის გუნდ ტენერიფეს მე-4 ტურის მატჩი სტუმრად, გიპუზკოა ბასკეტთან მოაგებინა. სამწუხაროა, რომ სანსებასტიანურ გუნდში არ უთამაშია ბექა ბურჯანაძეს, რომელიც 12-კაციან განაცხადში არ ყოფილა.

ტენერიფელები თითქმის მთელი თამაში აგებდნენ და ამ შეხვედრას წააგებდნენ კიდეც, საფინალო სირენამდე 1 წამით ადრე მაკფადენს გამთანაბრებელი ორქულიანი რომ არ ჩაეგდო და ოვერტაიმში კიდევ 7 ქულა არ მიეთვალა. ქართულპასპორტიანი ამერიკელის შედეგიანობით ტენერიფემ შეხვედრა 79:73 მოიგო.

მაკფადენმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 26 წუთში 18 ქულა, 3 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. თადმა 6-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. მაკფადენის საერთო სარგებლიანობის ინდექსმა 20-ს უწია და ამ მაჩვენებლით თავისიანთაგან საუკეთესო იყო.

მომდევნო მატჩს მაკფადენის გუნდი შინ ფუენლაბრადასთან გამართავს.

ადრიატიკის ლიგის მე-3 ტურში გოგა ბითაძის მეგა ბიმაქსმა სტუმრად ხორვატული ცედევიტა დაამარცხა, ხოლო ქართველი ცენტრი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. სერბულმა კლუბმა ზაგრებში ცედევიტელები 95:86 დაამარცხეს და 3-დან 3 მოგებით ადრიატიკის ლიგას ცრვენა ზვეზდასთან ერთად ლიდერობენ.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე თავისიანთაგან ყველაზე მეტი – 31 გაატარა. გოგამ 12-დან 7 ორქულიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამიანი კი ააცილა. მოგროვებულ 16 ქულას ბითაძემ 13 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაყოლა. შედეგად, ბითაძის სარგებლიანობის ინდექსმა 24 შეადგინა, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი გახლდათ.

მომდევნო მატჩს მეგა ბიმაქსი შინ სლოვენიურ ოლიმპიასთან გამართავს.

# საქართველო რიგაშია და პირველობის გასაფორმებლად ემზადება

საქართველოს ეროვნული ნაკრები რიგაშია და დღეს უეფას ერთა ლიგის მეოთხე ტურის შეხვედრას ლატვიის ნაკრებთან გამართავს.

ვლადიმირ ვაისის გუნდი რიგაში 23 ფეხბურთელთან ერთად გაემგზავრება. მართალია, ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბალტიისპირეთში ერთ თავდამსხმელს დამატებით ვიახლებო, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა და ისევ ნიკა კაჭარავას ამარა წავიდა.

ასე რომ, ლატვიასთან მატჩისთვის ის ფეხბურთელები ემზადებიან, რომლებმაც თბილისში ანდორას წინააღმდეგ ითამაშეს. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ლატვიაში მატჩისწინა ვარჯიში მასპინძელ სტადიონზე გამართა.

საქართველოს ნაკრების 23-კაციანი შემადგენლობა ლატვიასთან სათამაშოდ ასეთია.

მეკარეები: გიორგი ლორია (უგუნდო), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);



**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბელარუსი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი) გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ტრნავა, სლოვაკეთი);

**თავდამსხმელი:** ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი);

საქართველოს ეროვნული ნაკრები დ ლიგის პირველ ჯგუფს 9 ქულით ლიდერობს, ლატვიას 2 ქულა აქვს და ყაზახეთთან და ანდორასთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. შეგახსენებთ, რომ ერთა ლიგის გათამაშებაზე, საქართველოს ნაკრებმა თბილისში ლატვია მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა.

ერთა ლიგის მეოთხე ტურის შეხვედრა ლატვიისა და საქართველოს ნაკრებებს შორის დღეს, თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება. მატჩის რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგთავაზებთ.

# ჯენოას პიატეკის გამო აწუხებენ




იტალიური გაზეტა დელლა სპორტის მტკიცებით, ჯენოას პოლონელი შემტევის მილოშ პიატეკის გარშემო ახლა იმაზე მეტი გუნდია შეკრებილი, ვიდრე სეზონის წინ ვინმე წარმოიდგენდა.

საქმე ის არის, რომ ფორვარდი ფენომენალურ საგოლე თვისებებს ამჟღავნებს და უკვე 14 გოლი მოუგროვდა, რაც, ბუნებრივია, უყურადღებოდ არავის დარჩენია. სადღეისოდ, ესპანეთიდან დაწყებული და ინგლისური გუნდებით დამთავრებული, ყველა მის გადაბირებაზეა ორიენტირებული – ბარსელონა, რეალი, ბაიერნი, დორტმუნდი, იუვენტუსი, ნაპოლი, ჩელსი... სავარაუდოდ, ჯენოა თავის ფეხბურთელს იანვარშივე შეელევაო – წერს აპენინური მედია. ამასთან აცხადებენ, რომ ყველაზე მეტი შანსი ბარსელონას, დორტმუნდსა და იუვენტუსს აქვსო.

და რას აკეთებს ამასობაში იუვენტუსი, რომელსაც ჯენოასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ჩამოყალიბებული? საქმეში თავად ანდრეა ანიელი ერთვება, როგორც მილანური გამომცემლობა გვამცნობს და ენრიკო პრეციოზიზე ზეწოლას ახორციელებს.

იუვეს პრეზიდენტს სურს, რომ ფეხბურთელის საკონტროლო პაკეტი უკვე იანვარშივე ჩაიგდოს ხელთ და ამის სანაცვლოდ დაახლოებით 25-30 მილიონს იღებს, როდესაც ელემენტარულად არსენალი უკვე მზად არის 50 მილიონი გადაიხადოს.

რაში გამოიხატება ანიელის ზეწოლა? უახლოეს პერიოდში ლეგა სერია ა-ში სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილებებია მოსალოდნელი. ანიელიმ თავიდანვე იზრუნა და უკვე ამ ეტაპზე ლეგა კალჩოს მესვეურებში ნდობის და ავტორიტეტის კუთხით კოლოსალური მანდატი აქვს.

თავის მხრივ პრეციოზის გუნდს ამ სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, სწორედ ჯენოას სხვადასხვა წევრის ხილვა სურთ გარკვეულ თანამდებობებზე. აი, აქ კი, ანიელი აქტიურად ჩაერთვება პროცესებში და გარკვეულ პერსონებს მხარს არ დაუჭერს, რითაც ჯენოა სუსტ პოზიციაში აღმოჩნდება.

სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე გენუელებმა შესაძლოა არ გაიფუჭონ გავლენიან მეგობართან ურთიერთობა, რომელთანაც ხშირად ახორციელებს სხვადასხვა სატრანსფერო საქმიანობას და პიატეკზე გარკვეული უპირატესობა სწორედ ტურინელ მეგობრებს მიანიჭოს.

იუვენტუსი მარტო პიატეკის ტრანსფერით არ არის დაინტერესებული. იტალიური და ჰოლანდიური გამომცემლობები საინტერესო ცნობებს ავრცელებენ: ფაბიო პარატიჩი აიაქსიდან ერთბაშად 2 ნიჭიერი ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობს..

ერთ-ერთი ყველასათვის კარგად ნაცნობი მატიას დე ლიხტია, რომელსაც სამშობლოში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ცენტრალური მცველის პოზიციაზე, მეორე კი ფრენკ დე იონგია – ამპლუით ნახევარმცველი, რომელსაც ცენტრალურ ზონაში განსხვავებულ პოზიციებზე შეუძლია თამაში.

ტუტოსპორტის მტკიცებით, პარატიჩიმ სპეციალურად მისთვის მიავლინა სკაუტები ჰოლანდია-გერმანიის მატჩზე, რომლებიც უკან აღფრთოვანებულები დაბრუნებულან.

# შედეგები

**14 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ერთა თასი**

| | |
|---|---|
| პოლონეთი-იტალია | 0:1 |
| რუსეთი-თურქეთი | 2:0 |
| რუმინეთი-სერბეთი | 0:0 |
| ისრაელი-ალბანეთი | 2:0 |
| ლიტვა-ჩერნოგორია | 1:4 |
| აზერბაიჯანი-მალტა | 1:1 |
| ფარერები-კოსოვო | 1:1 |

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| კენია-ეთიოპია | 3:0 |
| გვინეა ბისაუ-ზამბია | 2:1 |

**კონკაკაფის ერთა ლიგა**

| | |
|---|---|
| სალვადორი-ბარბადოსი | 3:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| შოტლანდია-პორტუგალია | 1:3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტენერიფე-ლუგო | 0:0 |
| მაჰადაონდა-ოვიედო | 1:0 |
| გრანადა-მალიორკა | 1:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ლეონარდო ბონუჩი: „ჩემი ოცნება იუვენტუსის გაწვრთნაა“



როგორც ცნობილია, ლეონარდო ბონუჩი იუვენტუსიდან მილანში გადაბარგდა და ერთი სეზონის შემდეგ უკან დაბრუნდა. ტურინელთა მცველი იუვედან წასვლის მიზეზს შეეხო და ასევე მომავალ გეგმებზეც ისაუბრა.

**ლეონარდო ბონუჩი:**

– პირდაპირ გეტყვით, რომ უცნაური გრძნობა დამეუფლა. ადგე და წახვიდე სახლიდან, არის ურთულესი მისია. ასე მოხდა, როდესაც იუვენტუსიდან წავედი. ეს სტადიონი, ეს გუნდი და ეს ქალაქი ჩემი ნაწილია. ტურინი ჩემი სახლია და მისი დატოვება დიდ ტკივილთან ასოცირდებოდა. გადაწყვეტილება სიბრაზისგან მიღებული იყო. ეს არის კარგი გაკვეთილი, თუ როგორ არ უნდა აყვე ემოციებს და არ უნდა იმსჯელო გაცხარებისას. ეს იყო ცუდი გადაწყვეტილება ან არა ის, რაც ჩემთვის მისაღები იქნებოდა.

***– რა მოხდა კონკრეტულად, რატომ აჰყევით ემოციებს?***

– ტურინში უკანასკნელი 4 თვის მანძილზე თავი უსარგებლო ფიგურად ჩავთვალე. ეს იყო პირადი შეხედულებიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, იმ დროს არ აღმოვჩნდი საკმარისად ძლიერი, რომ ამ ყველაფერს ერთპიროვნულად გავმკლავებოდი. რაც დრო გადიოდა, ტკივილი იზრდებოდა და ვხვდებოდი, რაოდენ დიდი შეცდომა დავუშვი, როდესაც სახლი მივატოვე. მხოლოდ აქ, მხოლოდ ამ მაისურით შემიძლია საკუთარი მაქსიმუმის ჩვენება როგორც მინდორზე, ასევე მის მიღმაც.

***– და მაინც ტურინში ხართ. დაბრუნებას ვინ შეუწყო ხელი?***

– პრეზიდენტ ანიელის და ჩემი აგენტის ძალისხმევით მოხდა ის, რაც რეალურად მთელი ჩემი არსით და გულით მსურდა! დიახ, ეს იყო ერთადერთი ჩემი ოცნება, რომელიც ახდა. ახლა უბედნიერესი ადამიანი ვარ და თითოეულს მადლობა ამ საჩუქრისთვის.

***– იუვენტუსი საკმაოდ გაძლიერდა და წელს ჩემპიონთა ლიგის ფავორიტადაც მიიჩნევა.***

– ჩემპიონთა ლიგაზე ფავორიტად რომ მიგვიჩნევენ, გასაკვირი არაფერია. გუნდმა ჩემი და რონალდუს გარდა საკმაოდ გააძლიერა შემადგენლობა. შესაბამისად, ახლა ყველაფერი გვაქვს, რათა ოცნება რეალობად ვაქციოთ. რონალდუ ამ ყველაფერს დამატებით სილამაზეს სძენს და მასთან ერთად ყველა მიზანი თითქოს უფრო იოლი ხდება. თუმცა, ვინც ფეხბურთს თამაშობს, ეცოდინება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იღბალი, გუნდისთვის ყველაფრის გაღება და ერთიანი მუშაობის სისტემა.

***– მასიმილიანო ალეგრი როგორ შეხვდა თქვენს წასვლა-მოსვლას?***

– ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება. სტრესი, მნიშვნელოვანი მატჩების ეპიზოდი რას ვიზამთ, რაც მოხდა მოხდა. თუმცა, შეხვედრის დროს ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ერთიანი მიმართულებით დავიწყეთ ყურება.

***– მილანში თამაშის დროს თქვენ მიმართ ტურინელი გულშემატკივრების სტვენა ისმოდა.***

– სტვენა ჩემი მისამართით ნორმალური იყო. თუმცა, აპლოდისმენტებმაც არ დააყოვნა. იმედს გამოვთქვამ, მალე ეს აპლოდისმენტები უფრო ხშირი და თბილი გახდება.

***– რაზე ოცნებობთ?***

– ჩემი ოცნებაა მომავალში იუვენტუსის მწვრთნელი გავხდე. სწორედ ამიტომაც ვაკვირდები სპეციალისტებს და საჭირო თვისებებს და რჩევებს ვიწერ. ბევრი ამბობს, რომ ჩემგან კარგი თავკაცი დადგება. სიმართლე გითხრათ, სწორედ ეს არის, რაც მომავალში მსურს ვაკეთო და თუ იუვეში დავსაქმდები, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება.

# რატომ წავიდა ზიზუ რეალიდან



ესპანური გამოცემები იუწყებიან, რომ ზინედინ ზიდანის მადრიდის რეალიდან წასვლას ერთი მნიშვნელოვანი და ყველაზე სწორი მიზეზი აქვს...

ფრანგი სპეციალისტი ფლორენტინო პერესს ჯერ კიდევ მარტში შეხვდა და ამცნო, რომ ახალი პროექტის განხორციელება იყო საჭირო, ვინაიდან მიმდინარე შემადგენლობა შესაძლებლობებს სულ მალე ამოწურავს.

ამის შემდეგ „ბლანკოსმა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი მოიგო, ხოლო ნახევარფინალში წარმატების შემდეგ ფინალამდეც მივიდა, რამაც ზიზუს მოსაზრება გააქარწყლა და ფლორენტინო პერესი მთავარ მწვრთნელს არ დაეთანხმა.

როგორც ირკვევა, ზიზუმ რეალის დატოვება ჯერ კიდევ ლივერპულთან საფინალო მატჩამდე გადაწყვიტა, ვინაიდან პრეზიდენტმა მას უთხრა, რომ ბიუჯეტი სტადიონის რეკონსტრუქციისკენ უნდა მიემართოს და არა ახალი პროექტისთვის.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ფრანგი კონკრეტულ გვარებსაც ასახელებდა, ვისი შეძენაც სურდა. მათ შორის კილიან მბაპე და ანტოან გრიზმანიც იყვნენ, ვინაიდან კრიშტიანუ რონალდუს შეცვლა დიდი პრობლემა იქნებოდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კენგურუმ ქალს ნეკნი ჩაუმტვრია



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში კენგურუმ სამი წევრისგან შემდგარ ოჯახს სცემა. ორი მათგანი ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულმა ლინდა სმიტმა ექიმებს განუცხადა, რომ ის და მისი მეუღლე გარეულ კენგურუს უვლიან. საღამოს მისი მეუღლე კენგურუსთვის საჭმლის მიცემას ცდილობდა, მაგრამ ცხოველმა ამას აგრესიით უპასუხა და მას თავს დაესხა. ქალი შეეცადა ქმარს მიხმარებოდა, მაგრამ შედეგად თავად დაზარალდა. ასევე ტრავმები მიიღო მათმა შვილმაც, რომელიც მშობლებს მიეშველა.

64 წლის ლინდა სმიტმა დაზიანებები მიიღო მკერდის არეში, ნეკნების მოტეხილობები და ხელებსა და ფეხებზე ნაკაწრები. ქალი საავადმყოფოშია მოთავსებული და ოპერაციას ელის. ასევე საავადმყოფოში ნაფლეთი ჭრილობებით იმყოფება მისი მეუღლე, შვილს კი სამედიცინო დახმარება არ დასჭირვებია.

# გოგონა კონტრაცეპტივის მიღების შემდეგ სიკვდილს გადაურჩა



ვენესუელას მკვიდრმა კეტრინ პარამ იმის შესახებ განაცხადა, თუ როგორ გადაურჩა სიკვდილს ორალური კონტრაცეპტივის მიღების შემდეგ, რომელიც მის იშვიათ დაავადებასთან, რომლის შესახებაც მისთვის არაფერი იყო ცნობილი, სრულიად შეუთავსებელი აღმოჩნდა.

2012 წელს, შობის დღესასწაულის წინ, 20 წლის პარამ საშინელი სისუსტე და მუცლის არეში ტკივილი იგრძნო. ასევე გამუდმებით გული ერეოდა. მან ექიმს მიმართა, სეფსისი დაუდგინეს და დაუყოვნებლივ საავადმყოფოში მოათავსეს. გოგონამ ორი თვე რეანიმაციაში გაატარა. მართალია სეფსის განკურნება მოხერხდა, დანარჩენი სიმპტომები უარესდებოდა და ექიმები ვერ ხვდებოდნენ, თუ რაში იყო საქმე. დროთა განმავლობაში გოგონა მთლიანად პარალიზებული აღმოჩნდა. ის ენის გატოკებასაც კი ვეღარ ახერხებდა.

– უბრალოდ, სიკვდილი მინდოდა, რომ ეს საშინელება დასრულებულიყო, – აღიარა გოგონამ. გამუდმებული ტკივილების გადატანაში მხოლოდ მორფი შველოდა.

მხოლოდ რვა თვის შემდეგ მოახერხეს ექიმებმა, რომ პარას უიშვიათესი გენეტიკური დაავადება სჭირდა. მისი გამწვავების პროვოცირება ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მიღებამ გამოიწვია და რომლის მიღებას საავადმყოფოშიც კი აგრძელებდა.

გოგონას მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მან კონტრაცეპტივის მიღება შეწყვიტა. ის იძულებული გახდა თავიდან ესწავლა ლაპარაკი და სიარული. პარას ორგანიზმს სრულად აღსადგენად ორი წელი დასჭირდა.

# „ახალგაზრდობის ელექსირს“ ვირები ეწირებიან



ჩინური მედიცინის პოპულარულ საშუალებაზე მოთხოვნილების ზრდამ ყირგიზეთში ვირების გაწყვეტა გამოიწვია. ამ ქვეყანაში ეს ცხოველი ღარიბი მოსახლეობისთვის მთავარ სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა.

ამ ქვეყნის ხელისუფლების მონაცემებით, ხუთი წლის განმავლობაში ცხოველების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა: 2012 წლის 77 ათასიდან 2017 წელს 33 ათასამდე. ცხოველები გადაჰყავთ ჩინეთში, სადაც მისი ტყავისგან ამზადებენ ჟელატინ ეცზიაოს – ტრადიციული მედიცინის საშუალებას, რომელსაც ახალგაზრდობის ელექსირად ასაღებენ, რომელიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ანელებს კანის დაბერებას.

მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად წელიწადში ოთხი მილიონი ტყავია საჭირო. ადრე მათ აფრიკაში ყიდულობდნენ, მაგრამ აფრიკის შვიდ ქვეყანაში საზღვარგარეთ ცხოველების გაყიდვაზე აკრძალვის შემოღების შემდეგ, ეცზიაოს მწარმოებლებმა ყურადღება შუა აზიაზე გადაიტანეს. 2018 წლის შვიდ თვეში ყირგიზეთიდან ჩინეთში 17 ათასი ვირი გადაიყვანეს.

ლეგალური მოვაჭრეების გარდა, ქვეყანაში მოქმედებენ დანაშაულებრივი დაჯგუფებებიც, რომლებიც ცხოველებს მათ კანონიერ პატრონებს პარავენ და ჩინეთში ყიდიან. ხელისუფლების მონაცემებით, თუ ასევე გაგრძელდა, ორ-სამ წელიწადში ყირგიზეთში ამ სახეობის ცხოველი აღარ დარჩება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

16 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ზედმეტი ემოციურობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. ხალხმრავლობას ერიდეთ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. შემოთავაზებული წინადადება თამამად მიიღეთ. **ტყუპები** – თქვენი შემოსავალი იზრდება. ვარსკვლავები გწყალობენ. ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმეთ. **კირჩხიბი** – გარშემომყოფების კეთილგანწყობას გრძნობთ. მოსალოდნელია საქმიანი შეხვედრები. **ლომი** – ნუ იქნებით ზედაპირული. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **ქალწული** – ემოციურად დაძაბული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. თუ საშუალება გაქვთ, სახლში დარჩით და დაისვენეთ. **სასწორი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. შეგიძლიათ, თამამად გარისკოთ. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. პირადი პრობლემები თავს იჩენს. სიტუაციის გამწვავება არ ღირს. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. მიზანს დაბრკოლებების გარეშე მიაღწევთ. **თხის რქა** – იაქტიურეთ. პროფესიულ სფეროში წარმატებები გელით. შესაძლოა დაგაწინაურონ კიდეც. **მერწყული** – იყავით მაქსიმალურად ორგანიზებული, დისციპლინირებული. ოჯახის წევრებს არ ეჩხუბოთ. **თევზები** – ფანტაზიას მეტი გასაქანი მიეცით. განსაკუთრებით იღბლიანია დღის მეორე ნახევარი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილი; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 22. მოხრილი დანა.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. საზღვაო მოგზაურობა; 10. ზღვების, ტბების ფსკერზე ბინადარი ორგანიზმების ერთობლიობა; 12. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა ძველად; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 20. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 23. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 24. ეგრისის მთავარი; 25. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 26. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი მყიფე ლითონი; 27. სახელმწიფო აზიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კლიენტი; 3. იადონი; 8. არკადა; 10. პაშტეტი; 11. ოდეტა; 12. ნირვანა; 14. საირმე; 15. კრამერი; 16. დუბლი; 19. მილეტი; 20. ვიგვამი; 21. ვარანი.

**შვეულად:** 1. კომედიანტი; 2. ტატამი; 3. იმპერია; 4. ნეონი; 5. პროპანდი; 6. მასრა; 7. რაპორტი; 9. კატერი; 13. კეგლი; 17. ბანა; 18. პაი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კოროზია; 2. კაკოფონია; 3. „იზა“; 4. ინა; 5. კორეა; 6. აკირა; 7. პრიზი; 8. ოგასტა; 9. ტატრა; 10. „ტამანგო“; 11. ალათაუ; 12. არ; 13. პლანიმეტრია; 14. ლემა; 15. რეი; 16. კნაჭა; 17. ზომა; 18. ნო; 19. დი; 20. გირაგი; 21. ჭია; 22. კაზინო; 23. სკალა; 24. კაა; 25. მი; 26. სკამი; 27. არაკი; 28. ობოლაძე; 29. პანტა; 30. ელი; 31. პალმა; 32. ეტლი; 33. ანძა; 34. ისანი; 35. კარამელი.

**სურათებზე:** ემა ბანტონი; ფაბიენ ბარტეზი.

# ხატია ბუნიათიშვილმა ფრანკფურტში მეგრული სიმღერა დაუკრა



პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა ფრანკფურტში მსმენელისთვის რამდენიმე მუსიკალური ნომერი შეასრულა.

მსოფლიოში აღიარებული კომპოზიტორების ნაწარმოებებთან ერთად ხატიამ ცნობილი მეგრული სიმღერა „ვა გიორქო მა“ (არ გიყვარვარ მე) შეასრულა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხატიას მინი-კონცერტს უამრავი ადამიანი დაესწრო და პიანისტი მქუხარე აპლოდისმენტებით და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

# ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართველებს გერმანელებმა „სულიკო“ უმღერეს




ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, სადაც წელს მასპინძელი ქვეყანა იყო, დასრულდა. როგორც წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა გვანცა ჯობავამ განაცხადა, დასრულდა იგი გამაოგნებელი სიურპრიზით – გერმანელებმა ქართველებს საგანგებოდ ნასწავლი „სულიკო“ უმღერეს:

– გამაოგნებელი სიურპრიზი – ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ასე ემშვიდობება საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარს. ყველა ვტირით, ასეთი რამეები არასდროს ხდება შემთხვევით. რამდენი გადაცემის ცერემონიალი მინახავს, რამდენი დახურვა, ასეთი რამ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის წარმომადგენლებს არასდროს გაუკეთებიათ, არასდროს!

# ქეთი დოლიძე რუსთავი 2-სთვის ბოიკოტის გამოცხადების მომხრეა



რეჟისორი ქეთი დოლიძე ტელეკომპანია „რუსთავი 2-სთვის ბოიკოტის გამოცხადების მომხრეა:

– რა მოხდება, რომ პოლიტიკოსებმა თუ არაპოლიტიკოსმა ადამიანებმა გამოუცხადოთ ბოიკოტი რუსთავი 2-ს და არ მიხვიდეთ მის ეთერში!

ერთხელ მაინც გამოიჩინეთ პრინციპულობა და უარი უთხარით თქვენს თავს ნაძირალა გვარამიას ტელევიზიაში მისვლაზე!

მოგმართავთ მათ, ვინც არ და ვერ ივიწყებს იმ ნაცების დატრიალებულ უბედურებას, იმ ტყუილს და აღვირახსნილობას, რაც ამ არხის ეთერით მოედინება!

ერთხელ მაინც გაჯობოთ თქვენმა თავმოყვარეობამ!

არ მიხვიდეთ არცერთ გადაცემაში და მოხდება მათი საბოლოო დამარცხება!

რუსთავი 2 არის სიმსივნე ქართული სინამდვილის ტანზე!

ესაა და ნუ უწყობთ ხელს ამ უბედურებას!

# თაკო გაჩეჩილაძე გათხოვდა




მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე გათხოვდა. მისი რჩეული ბულგარელი ხელოვანი ბორის მილანოვია. ის წარსულში ფეხბურთელი იყო, შემდეგ კი მუსიკის წერა დაიწყო. ასე აღმოჩნდა მუსიკალურ სამყაროში, სადაც დღეისთვის კარგად არის ცნობილი. ბორისმა კომპანია დააფუძნა, რომელიც არტისტებთან მუშაობს და კონცერტებს უწევს ორგანიზებას.

თაკოს და ბორისს ნიშნობა რამდენიმე თვის წინ ჰქონდათ. მომღერალმა მაშინ პირადზე ღიად ისაუბრა და განაცხადა, რომ ქორწილი ოქტომბერში უცხოეთში ექნებოდა და ძალიან სურდა ბავშვი გაეჩინა.

თაკომ და ბორისმა ქორწილი ევროპაში გადაიხადეს. მათი ბედნიერებმა უახლოესმა ადამიანებმა გაიზიარეს. წყვილის ქორწილის ფოტო ინტერნეტში გავრცელდა. თაკომ და ბორისმა სოციალურ ქსელში უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

# რობერტ სტურუა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მილიარდერ მტერს უწოდებს



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი რობერტ სტურუა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მილიარდერ მტერს უწოდებს:

– ეს უნიჭო მსახიობი მაგონებს იმ ადოლფს, ულვაშმოპარსულ ვითომ ეკონომიკურ კლასში რომ პოზიორობს, ჩვენ, კრეტინებს რომ შეგვაცოდოს თავი! საცოდავი კლოუნი! ო, უსამართლობის სისხლიანო მსხვერპლო, მსოფლიო სევდამ შეგიპყრო, არა?! მაინც გოეთეს „მდაბალს და მაღალს“ უკეთ იცნობს, მერე მამის ბებოს ბიცოლა ჰოჰენცოლლერნი არ იყო?!

ეს საოცარი ფოტო გულმოკლული სააკა-ადოლფი, თვითმმკვლელობის წინ, ეტყობა დიდხანს ირჩევდა და ურჩევდნენ კომპოზიციას, ამ ფოტომ, ასე ფიქრობს ეს ბოროტი კაცი, ქართველებს ცრემლი უნდა გვადინოს! ცრემლი დაგვიშრა, სიხარულის ცრემლებს ველოდებით!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

დგებუაძეების საგვარეულო კავშირი თანაგრძნობას უცხადებს ვახტანგ დგებუაძეს შვილის

**ჯანო დგებუაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თემიკო ჩირგაძე 90 წლის გახდებოდა



თბილისის კოლორიტი თემიკო ჩირგაძე 90 წლის გახდებოდა. მისი ქართულ კინოში გამოჩენა ელდარ შენგელაიას დამსახურებაა. მართალია მან სულ რამდენიმე ფილმში ითამაშა, მაგრამ მაყურებელს სამუდამოდ დაამახსოვრა თავი.

„ძალიან კარგი“ – ეს რეპლიკა „ცისფერ მთებში“ თემიკო ჩირგაძის შეტანილია. პროფესიით ექიმმა პირველად სკოლაში დადგმულ სპექტაკლში ითამაშა. მართალია თეატრით გატაცებული იყო, მაგრამ სამედიცინოზე ჩააბარა და სიცოცხლის ბოლომდე ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნავდა.

თემიკო ჩირგაძის კინოკარიერა გვიან დაიწყო. მისი დებიუტი ელდარ შენგელაიას ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“ შედგა, სადაც თამადის როლი ითამაშა. თამადის როლი შესთავაზა ლანა ღოღობერიძემაც თავის ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და ეს შემთხვევით არ მომხდარა, თემიკო ჩირგაძე თბილისში ცნობილი თამადა იყო. როგორც მისი მეგობრები იხსენებდნენ, მასთან ქეიფს და დროსტარებას არაფერი სჯობდა.

პირველი სერიოზული როლის თამაში თემიკო ჩირგაძეს ფილმში „ცისფერი მთები“ მოუწია, სადაც გამომცემლობის დირექტორის ვაჟა ზაზაევიჩის როლი შეასრულა. თავად ამ პროცესს ასე იხსენებდა:

„ჩემი სცენური დებიუტი მოსწავლეობის დროს შედგა. მოხდა ისე, რომ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, 80-იანი წლების დასაწყისში, მე ისევ დავუბრუნდი მსახიობობას, როდესაც გამომცემლობის დირექტორის როლი შევასრულე ელდარ შენგელაიას ფილმში „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. მანამდე იყო ეპიზოდური როლი „არაჩვეულებრივ გამოფენაში“. ქეიფის სცენის გადაღებისას ბაგრატის ტაძრის ეზოში მართლაც სუფრა გაიშალა, თავისი ატრიბუტებით, გოჭით, მაგრამ ვიდრე აპარატურას აყენებდნენ, გამოირკვა, რომ დოდომ გოჭი შეჭამა. გოჭი უსათუოდ უნდა გამოჩენილიყო და ჩაიშალა გადაღება. მეორეჯერ გააწყვეს სუფრა. მოიტანეს გოჭი და მეორეჯერაც შეჭამა. მერე ბუტაფორიული გოჭი დაუდეს და იმას ვერ მოუხერხა ვერაფერი.

ახალ პროფესიას ადვილად შევეჩვიე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ელდარის წყალობაა. ასეთი რეჟისორია. გადასაღებ მოედანზე არ ყვირის, არავის აგინებს, არ ნერვიულობს და არც სხვას ანერვიულებს, მსახიობებს დიდ თავისუფლებას აძლევს. კინოგადაღება უაღრესად საინტერესო პროცესი ყოფილა. თვით ფილმზე მომუშავე ადამიანებთან ურთიერთობაა ძალიან სასიამოვნო: რეჟისორი, ოპერატორი, მხატვრები, მსახიობები, გამნათებლები – ყოველი მათგანი საინტერესოა. გადაღების ერთმა წელმა თვალის დახამხამებაში გაირბინა და მერე ძალიან დიდი სევდა მქონდა იმის გამო, რომ ყველაფერი დამთავრდა.

ელდარ შენგელაია, რომლის სამ ფილმში ვითამაშე, საოცრად კარგი და მომთმენი რეჟისორი იყო. მასთან ერთად მუშაობა საოცრად მაწყნარებდა და ყოველგვარ კომპლექსს მიხსნიდა. გადაღების დროს მე და სესილია თაყაიშვილს სპეციალურად გამოყოფილი ავტომანქანა გვემსახურებოდა. როდესაც „ცისფერი მთების“ გადაღება დასრულდა, ელდარმა ვერ მოაბა თავი ეჩვენებინა ჩვენთვის ფილმის მზა ეპიზოდები. ქალბატონმა სესილიამ, რომელიც იმ პერიოდში საავადმყოფოში იწვა, ელდარს შეუთვალა: ჩვენ, ორ მოხუცს მაინც გვანახე ფილმიო. წარმოგიდგენიათ, მოხუცად ჩამთვალა, თუმცა მაშინ საკმაოდ ყოჩაღად გამოვიყურებოდი. სხვათა შორის, როდესაც ქალბატონმა სესილიამ გაიგო, რომ ფილმში მეც უნდა მეთამაშა, უკმაყოფილო დარჩა. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ არაპროფესიონალ მსახიობებთან ვერ ითამაშებდა. მე მას მოვეხვიე, ვაკოცე და ვუთხარი, რომ ჩუმად ვიქნებოდი და ხელს არ შევუშლიდი. როგორც იქნა, გატყდა.

უნდა ვაღიარო, რომ ფილმი პირველი ნახვისას ვერ აღვიქვი და ძალიან ცუდ გუნებაზე გამოვედი, მერე თანდათან ვეგუებოდი. უცნაურია, მაგრამ კმაყოფილების გრძნობა პირველად მაშინ გამიჩნდა, როცა „ცისფერი მთების“ რუსული ვარიანტი ვნახე. მანამდე სულ უკმაყოფილო ვიყავი. გაიარა ერთ ათეულ წელზე ცოტა მეტმა და ახლა მე თვითონ აღმოვჩნდი ჩემი გმირის მდგომარეობაში. გახსოვთ ალბათ, გამომცემლობაში ყველაფერი ინგრევა, დირექტორი სულ სესხბანკში დარბის. მეც ამ დღეში ვარ, გაუთავებლად დავრბივარ, რომ ვიშოვნო სპირტი, ბენზინი, ჩავართვევინო სინათლე, შევიძინო შპრიცები. ინსტიტუტი კი ნელ-ნელა თავზე მენგრევა.“

„ცისფერი მთების“ გადაღებებს ელდარ შენგელაია ასე იხსენებს:

„ცისფერი მთები“ პატარა მოთხრობაა და ბევრი მასში სურათიდან შევიდა. როგორც კი ფილმზე მუშაობა დავიწყე, დაუფიქრებლად ვუთხარი თემიკოს, რომ ეს როლი შენ უნდა ითამაშო-მეთქი. აქაც იყო ჭირვეულობა, მაგრამ ერთმა ფაქტმა დიდი როლი შეასრულა. ქუჩაში გადაღება მას ძალიან ეუხერხულებოდა, ფილმში მოქმედება კი ოთახებში ხდება. ბევრი რამ თავის გმირში თემიკომ თვითონვე შემოიტანა. მაგალითად, ტერმინი „ძალიან კარგი“ სცენარში არ გვქონია. ეს მისეულია. პირველად ეს არ მომეწონა. იყო ეპიზოდები, როცა თემიკოს გმირი სულ სხვა სიტუაციაში იმყოფებოდა და სხვა რამეზე ფიქრობდა. ამ დროს პასუხი უნდა გაეცა მოსაუბრისთვის და თემიკოც პასუხობდა „ძალიან კარგი“. გული მწყდება, როდესაც ჩემს ფილმს სახელმწიფო პრემია მიანიჭეს, თემიკო არ დააჯილდოვეს. მიზეზად ის დაასახელეს, რომ არაპროფესიონალი მსახიობიაო. თავად საყვედური არასოდეს უთქვამს. პირიქით, სულ მეუბნებოდა, ერთი ფილმი კიდევ გადაიღე ჩემი მონაწილეობით და ახლა ლენინის პრემიას მიიღებო...“

თემიკო ჩირგაძე 71 წლის ასაკში უკურნებელი სენით გარდაიცვალა და როგორც ელდარ შენგელაია ამბობს, მისი გარდაცვალებით სიცოცხლე უფერული გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# კატამ პატრონი მკერდის კიბოსგან გადაარჩინა



ინგლისის ქალაქ ნიუკასლის მკვიდრმა ანჯელა ტინინგმა განაცხადა, რომ საკუთარი მკერდის კიბო ადრეულ სტადიაში საკუთარი კატის წყალობით აღმოაჩინა.

ქალმა აღიარა, რომ რამდენიმე წლის წინ მისმა კატა მისიმ უცნაურად დაიწყო მოქცევა, საკმარისი იყო ქალი დაწოლილიყო, რომ ის მაშინვე მკერდზე ახტებოდა.

– ჩემი კატა არც ისე ალერსიანია და საკმაოდ გამაღიზიანებელიც კია, ამიტომ მისი ასეთი ქცევა საკმაოდ არატიპიური იყო, – განმარტა ტინინგმა.

მან ყური მიუგდო საკუთარ შეგრძნებებს, მკერდში ტკივილი იგრძნო და ექიმებს მიმართა. მათ მის ქსოვილებში კიბოს მაუწყებელი უჯრედები აღმოაჩინეს და მათი მოშორების ოპერაცია გაუკეთეს. ორი წლის შემდეგ კატამ იგივე გაიმეორა. ამ ჯერად ტინინგს ტკივილის შეგრძნება არ ჰქონია, თუმცა მან მაინც გადაწყვიტა საგულდაგულო გამოკვლევა გაევლო. ბიოპსიამ აჩვენა, რომ მას მკერდის კიბოს ადრეული სტადია განუვითარდა. ქალი იძულებული გახდა სარძევე ჯირკვლის ოპერაცია გაეკეთებინა. ექიმებმა აღიარეს, რომ ტინინგს გამოკვლევა დაჟინებით რომ არ მოეთხოვა, დაავადება შესაძლოა კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ გამოევლინათ.

– მისი რომ არა, დიდი ხნის გარდაცვლილი ვიქნებოდი, – განაცხადა ქალმა, რომელმაც თავისი კატა „გმირი კატას“ ჯილდოს ნომინაციაზე წარადგინა შეჯიბრზე „წლის კატა“, რომელსაც ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ატარებს.

# ტაილანდში გასვენებაში გოგონების ცეკვის ვიდეო პოპულარული ხდება



ტაილანდში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ვიდეო, რომელზეც ასახულია გოგონების ცეკვა მეგობრის გასვენებაში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ ასეთი სახით სურდათ პატივი მიეგოთ გარდაცვლილის ხსოვნისთვის და მისი სულისთვის ეამებინათ.

ვიდეორგოლი სახელწოდებით „ახალგაზრდა გოგონები მეგობრის კრემაციის დროს ცეკვავენ, რათა მის სულს ზეცაში ამაღლებაში დაეხმარონ“, ფეისბუქში ოქტომბრის დასაწყისში გამოჩნდა. მასზე ოთხი გოგონა კლუბური მუსიკის თანხლებით, რომელიც იქვე მდგარი მანქანიდან ისმის, თანამედროვე ცეკვას ასრულებს. მანქანის საბარგულში ასევე მოთავსებულია დისკოთეკებისთვის განკუთვნილი სანათი მოწყობილობა.

ვიდეომ 700 ათასზე მეტი ნახვა და ასეულობით კომენტარი მიიღო. ინტერნეტ-მომხმარებლებმა მოცეკვავე გოგონებს და მათ გარდაცვლილ მეგობარს „კოიოტები“ უწოდეს – ასე ტაილანდში ეძახიან გოგონებს, რომლებიც გოუ-გოუს სხვადასხვა დაწესებულებებში კლიენტების გასართობად ცეკვავენ. უმეტეს კომენტარებში გოგონების ქცევას შეუფერებელი უწოდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6376

ევრო — 3.0546

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4872

100 რუსული რუბლი — 4.0001

## ამინდის პროგნოზი 16 ოქტომბრისთვის




## პატარა ბეჰემოთმა კამეჩების ჯოგი გაყარა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ვიდეოზე გადაიღეს ბეჰემოთის ნაშიერი, რომელიც მდინარეში საკუთარ ტერიტორიას იცავდა.

პატარა ბეჰემოთი წყალში გრილდებოდა, როდესაც ნაპირთან კამეჩების ჯოგი გამოჩნდა. ის მაშინვე ამოხტა წყლიდან და კამეჩისკენ, რომლებიც მეტისმეტად ახლოს მივიდნენ, გაიწია. კამეჩი იძულებული გახდა უკან დაეხია.

– ახალგაზრდა ბეჰემოთმა ასეთი სახით აგრძნობინა კამეჩებს, რომ მისი ტერიტორიიდან თავი შორს დაეჭირათ, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა ედრიჩ შეიფერმა, – ამის შემდეგ კამეჩმა გადაწყვიტა შეერთებოდა თანამოძმეებს, რომლებიც წყურვილს უფრო მოშორებით იკლავდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლორან კოსიელნი საფრანგეთის ნაკრებიდან წავიდა



ლონდონის არსენალის ცენტრალურმა მცველმა ლორან კოსიელნიმ საფრანგეთის ნაკრებში კარიერა დაასრულა. კოსიელნიმ განაცხადა, რომ ის ბევრ ადამიანზეა განაწყენებული და მათ შორის არის დიდიე დეშამიც.

კოსიელნის თქმით, ის უფრო მეტ ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებდა:

– არ მინდოდა, რომ ნაკრებიდან ასე წავსულიყავი, მაგრამ სხვა გზა არ დამიტოვეს. დეშამზე ნამდვილად ნაწყენი ვარ, თუმცა დეტალებზე საუბარს არ ვაპირებ. ნაკრებისთვის ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი და მეტ პატივისცემას ვიმსახურებ.

## ვერმალენი თვენახევარი იუქმებს



ბარსელონას და ბელგიის ნაკრების მცველმა ტომას ვერმალენმა ტრავმა მიიღო და მას თვენახევარი მოუწევს უქმად ყოფნა. ვერმალენმა ტრავმა ბელგიის ნაკრების თამაშის დროს მიიღო და მეორე ტაიმში ის შეცვალეს.

ვერმალენი ტრავმებს ძალიან ხშირად იღებს და ამის გამო მან ბოლო წლებში ბევრი შეხვედრა გამოტოვა. ბარსელონასთვის ვერმალენის არყოფნა სერიოზული პრობლემა იქნება, რადგან ტრავმა აქვს კიდევ ერთ ცენტრალურ მცველს, სამუელ უმტიტის.

## ვინსან კომპანის მამა ბელგიის ქალაქის მერი გახდა



მანჩესტერ სიტის მცველის ვინსან კომპანის მამა პიერი ბელგიის ქალაქ ჰანსხორენის მერი გახდა.

პიერი ბელგიის ისტორიაში პირველი შავკანიანი მერია.

ამ ფაქტს გამოეხმაურა ვინსან კომპანიც, რომელმაც მამამისს ინსტაგრამზე მიულოცა ეს გამარჯვება.

კომპანის თქმით, ეს დემოკრატიისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

– მამაჩემი პირველი შავკანიანი მერი გახდა ბელგიის ისტორიაში და მიხარია, რომ ხალხმა მას ნდობა გამოუცხადა. დარწმუნებული ვარ, ის ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა, – განაცხადა კომპანიმ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

გლეხი მთავრობის მეთაურის გამოსვლას უსმენს, რომელიც აცხადებს, რომ კადრებს სანთლით ვეძებთო, და ბოლოს მოთმინებიდან გამოსული ეუბნება:

– თქვენ, ძამა, ეტყობა, ბუასილის სანთლებით ეძებთ, თვარა სულ ტრ...ბს როგორ პოულობთ?...

***

სახელმწიფოს მეთაურმა სიცრუის დეტექტორზე უნდა გაიაროს შემოწმება. პროცედურის დაწყების წინ მას განუმარტავენ:

– ჩვენ გისვამთ კითხვას, თქვენ პასუხობთ. თუ პატიოსნად უპასუხებთ – მწვანე ფერის ნათურა აინთება, ხოლო თუ იცრუებთ – წითელი. გასაგებია?

– დიახ, – უპასუხა სახელმწიფოს მეთაურმა და წითელი ნათურა აინთო.

***

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– შესანიშნავი საღამოა, ჩემთან ხომ არ წავსულიყავით ყავის დასალევად?

– არ ვიცი, ღამით ყავა...

– გთხოვ, უკვე ნახევარი წელია, ყავა არ დამილევია...

***

მამა შვილს აღვიძებს:

– ადექი, შვილო, აგარაკზე მივდივართ კარტოფილის ამოსაღებად.

– მამა, დილის ოთხი საათია!

– ადექი, შვილო, ადექი, კარტოფილი უნდა ამოვიღოთ!

– კი მაგრამ, მამა, ჩვენ ხომ აგარაკი არ გვაქვს?

– ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ კარტოფილი არ გვჭირდება...

●●●

ქალი და კაცი დილით საწოლში. ქალი ეუბნება:

– ძვირფასო, დამესიზმრა, თითქოს ფეხმძიმედ ვიყავი.

– ექიმს გაესინჯე...

– ისე უზომოდ მიხაროდა!

– ფსიქიატრსაც...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– სად იყავი, რომ არ ჩანდი?

– ისრაელში ვიყავი სამკურნალოდ, აშოტ. სამი ათასი დოლარი დამიჯდა.

– რას ამბობ, აქაც კი იმკურნალებდი და „დაჟე" დასაფლავების ფულიც დაგრჩებოდა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენ ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## მოდრიჩს რეალიდან წასვლა სურს



რეალის ხორვატ ნახევარმცველს ლუკა მოდრიჩს რეალიდან წასვლა სურს, რადგან ის უკმაყოფილოა ხულიან ლოპეტეგის მუშაობით.

მოდრიჩს ინტერი იწვევს და მილანელები ზაფხულშიც მზად იყვნენ, რომ მოდრიჩი ეყიდათ, მაგრამ მაშინ ლუკა რეალმა არ გაუშვა.

შესაძლოა, ეს ტრანსფერი ზამთარში განხორციელდეს, თუმცა რეალი ძალიან დიდ თანხას ითხოვს.

მოდრიჩის აგენტმა ასევე დაადასტურა, რომ მისი კლიენტი შესაძლოა ზამთარში ახალ გუნდში გადავიდეს.

მოდრიჩი რეალის ღირსებას 2012 წლიდან იცავს, მანამდე კი ის ტოტენჰემში ირჯებოდა.

## დე ხეას ყიდვა პსჟ-საც მოუნდა



მანჩესტერ იუნაიტედის მეკარეზე, დავიდ დე ხეაზე ნამდვილი ომია გაჩაღებული და მისი ყიდვა რამდენიმე გრანდს სურს. აქამდე მხოლოდ რეალი და ბაიერნი სახელდებოდნენ, ახლა კი მათ რიცხვს პსჟ-ც შეუერთდა.

პსჟ მზად არის, მანჩესტერ იუნაიტედს სოლიდური თანხა შესთავაზოს, თუმცა იუნაიტედი აქამდე დე ხეას არ უშვებდა, მაგრამ ესპანელმა მეკარემ ახალ კონტრაქტზე უარი თქვა, ამიტომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

დე ხეამ განაცხადა, რომ მის კარიერაში ცვლილებების დროა და ის მანჩესტერიდან წასვლას არ გამორიცხავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თეატრალური პრემია საქართველოში; 2. მეფის მრჩეველი; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 5. პოლიციელთა მეტსახელი ინგლისსა და აშშ-ში; 6. თამბაქოს მოსაწევი საშუალება; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. დედამიწის ატმოსფეროში სწრაფად მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 15. ყვავილების კონა; 19. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. ცირკის კლოუნის მიერ შესრულებული მოკლე სახუმარო პიესა; 9. თავადაზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა, თანამედროვე ორჭიდი; 16. კვერცხით, ფქვილით, ხახვითა და ძმრით შეზავებული ქათმის ბულიონი; 17. ვოინიჩის რომანი; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

